საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 40 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფელიეტონი პირველი

საქართველოს მთავრობის მოამბე

ყოველდღიური გაზეთი

№ 16 სამშაბათი, 13 აგვისტო 1918 წ. № 16

მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

„საქართველოს რესპუბლიკა“

ღირს ერთი თვით **10** მ., ცალკე ნომერი ყველგან **40** კაპ.

სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით.

გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის **10—3** საათამდე.

(ბარონის ქუჩა № 6, ტელეფონი—1—82.

ფინანსთა სამინისტროს კანცელარია

წინადადებას აძლევს ყველა საკრედიტო დაწესებულებათ (სააქციონერო ბანკები, როგორც ადგილობრივი, ისე რუსეთის, «ბანკირების» კონტორები, საურთიერთო ნდობის საზოგადოებები, ქალაქის საზოგადო ბანკები, საკრედიტო და შემნახველ-გამასესხებელი ამხანაგობები, ლომბარდები და სხვ), რომელნიც იმეოფებიან საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში, ორი კვირის ვადაში წარმოადგინონ ფინანსთა სამინისტროს საკრედიტო განყოფილებაში თავიანთი წესდებები და მისამართი, აგრეთვე წარმოდგენილი უნდა იქმნას ყოველ თვიურად ბალანსი, დაწყებული ამა წლის 1 ივნისიდან.

კანცელარიის დირექტორის თანამდებობის დროებითი ამსრულებელი დ. აფხაზი.

29 ივლისი, 1917 წ. № 950|234.

განცხადება.
ქართულ რკინის გზის მთავარ სამასალო საწყობში

ამა წლის 20 მარიამობისთვეს (ახალი სტილით), დილით, 10 საათ დანიშნულია საჯაროდ გაეიდვა 1.800 ცალი ცემენტის ბოჭკებისა. მისამართი: ქ. თბილისი, ქართული რკინის გზის სამასალო ნაწილი, კუთხე ელისაბედისა და სადგურისა, 9—3 საათ., ყოველ დღე გარდა უქმეებისა. (3—2).

განცხადება.
საქართველოს რესპუბლიკის არსენალი

თანახმათ არტილლერიის მიმწოდების უფროსისა, ამით აცხადებს, რომ 22 აგვისტოს 1918 წ., დღის 11 საათზე, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა საქართველოს არსენალში გასასყიდათ ერთის 20 ძალიანი ლოკომობილისა თავის კუთვნილებით. ყიდვის დროს უნდა გადიხადოს მეიდგილმა ნახევარი ფასი მასალისა. ქალაქში თავისუფლად გასატარებლად მეიდგელს მიეცემა განსაკუთრებითი მოწმობა საქართველოს არსენალისგან. განმეორებითი საჯარო ვაჭრობა (ჰერეტორეკა) მოხდება მესამე დღეზე. ყოველივე ცნობების მიღება შეიძლება არსენალის კანცელარიაში ყოველ დღე 9—3 საათამდე.

არსენალის უფროსი გვ. კაპიტანი გედევანიშვილი.
საქმეების მმართველი შავლაძე.

კახეთის რკინის გზის სამმართველო

ამით აცხადებს, რომ მარიამობისთვის 16 დანიშნულია საჯარო შეჯიბრება სამუშაოს გაცემაზე იორის ხიდთან მე-33 ვერ., რომელიც შესდგება: 1. იორის ხიდის ყურის დასამაგრებლად კედლების აგებაში. 2. პროექტის მიხედვით, ხიდთან არსებულ ჯიბნების (дамбы) კედლების დამთავრებაში. 3. არსებულ 3 ჯიბნების სათავეების დამთავრებაში და 4 ჯიბნების სათავეების შეკეთებაში. განცხადებები მიიღება მარიამობისთვის 16 დღის 2 საათამდის, პირველი უბნის უფროსის კანტორაში (Кирочная, 32). აქვე შეიძლება ყოველივე დაწვრილებითი პირობების გაგება.

ოფიციალური განყოფილება

კანონი.

1917 წლის 25 იანვრის მუშათა დამზღვევი კანონის მე 65 მუხლის შეცვლისა.

საავადმყოფო კასისთვის საწევრო გადასახადს განსაზღვრავს კასის წევრთა საზოგადოკრება ერთი პროცენტიდან ორ პროცენტამდე. იმ კასებში, სადაც წევრთა რიცხვი 400-ზე ნაკლებია, გადასახადი შეიძლება გადიდებულ იქნეს სამ პროცენტამდე. ვინც დღიურ შრომის ხელფასად ოცდა ერთ მანეთზე მეტს იღებს, ან მისი წლიური ჯამაგირი 6,300 მანეთს აღემატება, საწევრო გადასახადს გადაიხდის მხოლოდ დღიური ხელფასის—ოცდა ერთი მანეთის-ანგარიშით.

1918 წ. აგვისტოს 9.

ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი ე. თაყაიშვილი.

რესპუბლიკის მთავრობის თამჯდომარის მოადგილე ნ. რამიშვილი.

ბრძანება.

საქართველოს რესპუბლიკის მხედრობის მომარაგების უფროსისა.

28 ივლისი 1918 წ. ქ. თბილისი.

№

რადგანაც ბოლო დროს ძლიერ აიწია პურისა და ყოველივე სურსათ-სანოვაგის ფასმა, ამიტომ ვბრძანებ გაუქმებულ იქნეს დღემდის არსებული ფასები და რაოდენობა სურსათ-სანოვაგისა და მიღებულ იქნეს სახელმძღვანელოდ ამ ბრძანების დამატებაში მოხსენებული ფასები და რაოდენობანი:

1) პირველ ნუსხაში ნაჩვენები ფასებით ხელმძღვანელობა სავალდებულოა სურსათ-სანოვაგის დამზადების დროს საქართველოს ჯარის მომარიგების უფროსის საინტენდანტო ნაწილისთვის, საზოგადო ორგანიზაციებისთვის სამხედრო დაწესებულებებთან ანგარიშის გასასწორებლად, აგრეთვე ჯარის ნაწილების და კერძო პირთათვის საინტენდანტო სასურსათო მაღაზიებიდან ფულზე მიღებულ სანოვაგის ღირებულების საანგარიშოდ.

2) მეორე ნუსხაში მოყვანილია კერძისთვის საჭირო სანოვაგის და დღიურ ულუფის ღირებულობა საქართველოს რესპუბლიკის მხედართათვის და რესპუბლიკის ტერიტორიაზედ მყოფ სამხედრო ტყვეებისთვის.

ყოველი საზოგადო დაწესებულება, გინდ კერძო პირი შესაფერ შემთხვევაში ჯარის ნაწილებიც ვალდებულნი არიან საინტენდანტო სასურსათო საწყობებიდან მიღებულ სურსათ-სანოვაგეში გადაიხადონ პირველ ნუსხაში ნაჩვენები ფასები.

დაემატოს პირველ ნუსხაში ნაჩვენებ ყოველ სურსათ-სანოვაგის ფასს ფუთზედ ერთი მან. 60 კ. იმ შემთხვევაში, როდესაც გაიცემა სურსათ-სანოვაგე ფასით იმ სასურსათო საწყობებიდან, რომლებიც რკინის გზის ლიანდაგთან ახლო არ არიან და სურსათის გადაზიდ-გადმოზიდვა რკინის გზიდან უხდებათ ურმებით, ან ფურგუნებით. უკეთუ ჯარის ნაწილნი თითონ შეიმზადებენ საჭირო სურსათ-სანოვაგეს, უნდა იხელმძღვანელონ იმ ფასებით, რომელთა მიხედვითაც შედგენილია მეორე ნუსხაში ნაჩვენები კერძისთვის საჭირო სანოვაგის ფასები.

ქვემოდ მოყვანილი სანოვაგის ფასებით და კერძისთვის საჭირო სანოვაგის ღირებულებით ხელმძღვანელობა სავალდებულოა ამა | წლის პირველ აგვისტოდან, მხოლოდ დღიურ ულუფის ღირებულებითკი-დღიდან მიღებისა ჯარის ნაწილში ამ ბრძანებისა.

კანონი. ლაშქრის საველე მმართველობის 154 სტატიის 1 მუხლი.

მიმატება. ნუსხა პირველი და მეორე საქართველოს მხედრობის მომარაგების უფროსი, გენერალ მაიორი ბენაშვილი.

განყოფილების უფროსი ივ. დეკანოზიშვილი.

პირველი ნუსხა.

№ №	სანოვაგის სახელი.	საქართველოს ტერიტორიისთვის შემუშავებული ფასები.	
		მან.	კაპ.
1	ხორბალი	60	—
2	სიმინდი	40	—
3	გამოცხვარი პური ფუთი	44	85
4	ფქვილი ხორბლისა ფუთი	70	—
5	ფქვილი სიმინდისა და ქერისა	50	—
6	მუხუდო-ცერცვი	45	—
7	ლობიო	40	—
8	ხორცი	70	—
9	ერბო ძროხისა	440	—
10	ქონი ღორისა, ძროხისა ან ცხვრისა	160	—
11	ზეთი	35	—
12	კართოფილი	40	—
13	ხახვი	30	—
14	კომბოსტო	18	—
15	ჭარხალი	8	—
16	სტაფილო	40	—
17	ნიორი	80	—
18	მაშარაბი	40	—
19	საპონი	80	—
20	შაქარი	40	—
21	ჩაი (გირვანქა)	14	—
22	მარილი	8	—
23	წიწაკა (გირვანქა)	4	—
24	დაფნის ფოთოლი	60	—
25	ქერი	40	
26	თივა	5	50
27	ბზე	3	—

შენიშვნა: როდესაც ჯარის ნაწილი თვითონ კისრულობს სანოვაგის დამზადებას, ყოველივე სანოვაგე შეძენილი უნდა იქმნას არა უძვირეს იმ ფასებისა, რომელნიც გამოცხადებულნი არიან კერძისთვის საჭირო სანოვაგის მე-2 ნუსხაში.

სამხედრო სამინისტროს ადმინისტრატიული განყოფილების გამგე გენერალ მაიორი ყიფშიძე.

განყოფილების უფროსი ივ. დეკანოზიშვილი.

განყოფილების უფროსის თანაშემწე გზაუტაშვილი.

ნუსხა მეორე.

ა. კერძისთვის საჭირო სანოვაგის ღირებულება

სანოვაგის სახელი.	რაოდენობა სანოვაგისა.	ღირებულება სანოვაგისა.
ხორცი	1/2 გირ.	87,5 კაპ
მარილი	2 მისხ.	1,66 „
ბოსტნეულობა ახალი	60 მისხ.	42,50 „
ბოსტნეულობა გამხმარი	4 მისხ.	
ცხიმი (სიმსუქნე) ან ზეთი	6 მისხ.	33,07 „
წვენის მოსაკიდებელი ფქვილი	2 მისხ.	3,13 „
პილპილი	1/6 მისხ.	0,70 „
ლობიო, ბურღული	8 მისხ.	8,85 „
შაქარი	8 მისხ.	8,33 „
ჩაი	1/2 მისხ.	7,30 „
სულ		1 მ. 93 კაპ.

ღირებულება.
დღიურ ულუფისთვის საჭირო სურსათ-სანოვაგისა:

სანოვაგის სახელი.	რაოდენობა	ღირებულება.
ხორცი.	1/2 გირ.	87,50 კაპ.
მარილი.	8 მისხ.	1,66 „
ბოსტნეულება ახალი	60 მისხ.	42,50 „
ბოსტნეულება გამხმარი.	4 მისხ.	
წვენის მოსაკიდებელი ფქვილი . .	2 მისხ.	3,13 „
პილპილი.	1/6 მისხ.	0,70 „
ცხიმი (სიმსუქნე ან ზეთი	6 მისხ.	33,07 „
შაქარი	8 მისხ.	8,33 „
ლობიო, ბურღული.	8 მისხ.	8,85 „
ჩაი	1/2 მისხ.	7,30 „
სულ	1 მ.	93 კაპ.

სამხედრო დადგენილებათა კრებულის მე XIX წიგნის 1187 სტატიის ძალით ამ ღირებულებას ემატება 50%		66,52 კაპ.
პური 2 გირვანქა . . .	2 მ.	24,27 კაპ.
ბურღული 24 მისხ. . .	—	26,55 კაპ.
სულ . . .	5 მ.	40,38 კაპ.
დარგვალებით	5 მ.	40,— კაპ.

ღღიდგან ამ ბრძანების მიღებისა, ზემოხსენებული დღიურ ულუფის ღირებულებით—5 მ. და 40 კაპ.—დაკმაყოფილებულ უნდა იქმნენ ჯარის-კაცები საქართველოს ტერიტორიაზედ მოგზაურობის დროს თანახმად სამხედრო დადგენილებათა კრებულის XIX წიგნის 1192 სტატიისა.

თუ ვინცობაა მოგზაურობის დროს ჯარის-კაცმა მიიღო სასურსათო საწყობიდან ან ეტაპის პუნკტიდან რაიმე სანოვაგის ღირებულება ზემოთ მოყვანილი ფასების მიხედვით.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: 1. სამხედრო სამინისტროს სასურსათო საწყობებიდან მიღებული სანოვაგე უნდა ჩაიწეროს შესაფერ საანგარიშო ფურცლებში, როგორც ეს ნაჩვენებია 1916 წლ. № 294 კავკასიის მხედრობისადმი ბრძანებაში; შემდეგ იმის და მიხედვით, თუ რამდენი კაცი საზრდოობდა თვის განმავლობაში, გაიწერება გასავალში საქართველოს რესპუბლიკის მხედრობისადმი ამ წლის 24 ივლისის № ბრძანებაში ნაჩვენებ რაოდენობით; ყველა გასავალში გაწერილი სანოვაგე ნაანგარიშები უნდა იყოს კერძისთვის საჭირო სანოვაგის—თვის დამტკიცებული ფასები, მხოლოთ თუ ერთი რომელიმე ძირითადი სანოვაგე შეცვლილ იქნება მეორეთი, როგორც ეს ნაჩვენებია სამხედრო დადგენილებათა კრებულის მე XIX წიგნის 1911 წლ. გამოცემის მე-1162 სტატიით, მაშინაც ანგარიში უნდა სწარმოობდეს ძირითად სანოვაგის ღირებულების მიხედვით; მაგალითად, ცხიმეულობა-საქონლის სიმსუქნე იქნება თუ ზეთი, ანგარიშში გატარებულ უნდა იქმნეს კერძისთვის დამტკიცებულ შეცხიმეულობის რაოდენობის ღირებულობის მიხედვით.

2. ერთი გირვანქა ხარის ან ძროხის ხორცის შეცვლა შეიძლება თითო გირვანქა ხბოს, ცხვრის, ღორის და ნანადირევის ხორცით, შებოლილი ან გამშრალი თევზით, ხორცის ან სისხლის ძეხვეულობით, შებოლილ ან ლორით გამოყვანილი ქონით, ორი გირვანქა ქაშაყ-თევზი (сельды), 72 მისხალი შებოლილი ხორცით და ძეხვით, ნახევარ გირვანქა ყველით, გირვანქის ერთი მეოთხედი ხორცის ფხვნილით, სამი ბოთლი ძროხის რძით და ოთხი კვერხით.

3. ხორცის და თევზეულობის კონსერვები იხმარება მხოლოდ ლაშქრობის დროს და ისიც განსაკუთრებულ შემთხვევებში ამრიგად: თუ მარტოა ჯარის-კაცი, თითო კოლოფი კონსერვისა ეძლევა ნახევარ გირვანქა ხორცის მაგიერ; თუ საჭმელი მზადდება ხორცის უქონლობის გამო საველე, ან ჩვეულებრივ სამზარეულოში, ერთი კოლოფი კონსერვებისა ეძლევა ორ კაცსა; ამის და მიხედვით, პირველ შემთხვევაში თითო კოლოფი კონსერვებისა ითვლება ნახევარ, ხოლო მეორე შემთხვევაში ერთი გირვანქა ხორცის ღირებულებად.

4. როდესაც ჯარის საკვებად ცოცხალი საქონელი ეძლევა, მისი ხორცის ნამდვილი წონა კომისიამ უნდა შეამოწმოს. ხორცი იწერება საანგარიშო ფურცლებში, ამავე ფურცელს გასამართლებელ საბუთად თან უნდა ახლდეს კომისის აქტი. ამ რიგათ ჯარი ნამდვილად მიღებულ ხორცის ანგარიშს აწარმოებს, ტყავი კი ხაზინას ეკუთვნის და უნდა გადაეცეს მახლობელ სასურსათო საწყობს.

5. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზედ რომელიმე ჯარის ნაწილთან მყოფ სამხედრო ტყვეებს ეძლევათ საკვებად ჯარისთვის შემუშავებულ სანოვაგის ღირებულების ნახევარი-2 მ. 21,93 კაპ.

6. ბრძოლის ველზედ ან გზათ მიმავალ სამხედრო ტყვეებს, თუ შეუძლებელია სასურსათო საწყობებიდან ან პუნკტებიდან მიეცეთ საკვები, უნდა ეძლიოთ კაცზედ 2 მ. და 70 კაპ.

სამხედრო სამინისტროს ადმინისტრატიული განყოფილების გამგე გენერალ-მაიორი ყ ი ფ შ ი ძ ე. განყოფილების უფროსი ივ. დ ე კ ა ნ ო ზ ი შ ვ ი ლ ი. განყოფილების უფროსის თანაშემწე გ. ზ ა უ ტ ა შ ვ ი ლ ი.

არა ოფიციალური განყოფილება

თბილისი, 13 აგვისტო.

ჩვენს ეროვნულ საბჭოს პარლამენტარულ მოღვაწეობაში უკვე განსაკუთრებული ადგილი ღაიკავა ეგრედ წოდებულ შეკითხვების პრაქტიკამ. კვირა არ გავა ორი-სამი შეკითხვა არ გაუკეთონ მთავრობას.

ყოველი შეკითხვა იწვევს დაუსრულებელ კამათს, რომელიც ხშირად მოკლებულია პრინციპიალურ საფუძველს და აკმაყოფილებს მხოლოდ ამა თუ იმ უკმაყოფილო ფრაქციის ცუდად გაგებულ თავმოყვარეობას, რასაც ნამდვილ სახელმწიფოებრივ მოღვაწეობასთან არავითარი კავშირი არ ააქვს.

პარლამენტარული შეკითხვები ყველგან შესანიშნავ იარაღს წარმოადგენენ ხალხის წარმომადგენლობის ხელში. შეკითხვები საუცხოო საშუალებაა მთავრობის მოქმედების გასაკრიტიკებლად და საერთოდ სახელმწიფოებრივ მართვა-გამგეობის წესების განსახილველად. ამიტომ პარლამენტი ხმარობს შეკითხვის უფლებას თავის რეალურ გავლენის განსახორციელებლად და ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების მოსაწესრიგებლად.

პარლამენტარულ ქვეყნებში პარლამენტის ზედმოქმედება მთავრობის წარმომადგენლებზე სხვა და სხვანაირია. სხვათა შორის, აღსანიშნავია კითხვა, ინტერპელაცია ანუ შეკითხვა და საპარლამენტო ანკეტა.

კითხვა მიმართულია მინისტრისადმი ამა თუ იმ საგნის შესახებ განმარტების მისაცემად. ეს არის კითხვა-პასუხი მხოლოდ შემკითხველ დეპუტატისა და მოპასუხე მინისტრის შორის, რაც არავითარ საერთო კამათს და საპარლამენტო პროცედურას არ იწვევს.

სულ სხვაა ინტერპელაცია ანუ, როგორც ჩვენ ახლა ვუწოდებთ შეკითხვა: თავისთავად ცხადია, რომ ყოველი კითხვა შეიძლება გადაიქცეს - პარლამენტში შეკითხვად. ეს უკანასკნელი უკვე თხოულობს სახელმწიფოებრივ მართვა-გამგეობის ამა თუ იმ მოვლენის თუ მთავრობის პოლიტიკის შესახებ საყოველთაო კამათის გამართვას, რასაც მოჰყვება ან უბრალო გადასვლა მორიგ საკითხებზე ან დასაბუთებული წინადადების მიღება ნაკამათების შესახებ.

ცხადია დასაბუთებული წინადადება მთავრობის მოქმედებას ან იწონებს, ან იწუნებს. უკანასკნელ შემთხვევაში მთავრობა გადის. დამახასიათებელია ისიც, რომ უბრალო გადასვლა მორიგ საკითხებზე, თუ მიღებულია პარლამენტის მიერ, მხოლოდ მაშინ გულისხმობს მოწონებას და ნდობას, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ეს დაწუნება და უნდობლობის გამოცხადებაა.

რაც შეეხება საპარლამენტო ანკეტას, ის გულისხმობს საპარლამენტო კომისიის არჩევას მთავრობის მოქმედების შესასწავლად და გამოსაკვლევად, რომ პარლამენტი დარწმუნდეს მოსაწონია თუ დასაგმობი მთავრობის მოქმედება.

თუ დააკვირდებით ჩვენს ორ-თვე ნახევრის პარლამენტარულ გამოცდილებას, ნახავთ, რომ საბჭო მხოლოდ შეკითხვის ანუ ინტერპელაციის უფლებას აწვება, რაც თავისთავად ბუნებრივი და გასაგებია. თუმცა. გამოტეხილი უნდა ვსთქვათ, ბევრი შეკითხვა არაფერს არ წააგებდა არსებითად რომ კითხვის სახით დასმულიყო მთავრობის წინაშე და საბჭოც დაკმაყოფილებულიყო უკანასკნელის განმარტებით, როგორც ეს შეეფერება საპარლამენტო კითხვის უფლებას.

საპარლამენტო ანკეტის ჩვეულება კი სულაც არ დაგვიწყია ჯერ-ჯერობით. შესაძლებელია ჩვენს დღევანდელ პირობებში, როცა სავსებით წესიერი პარლამენტალური ცხოვრება ჯერ კიდევ არ სწარმოებს, საანკეტო უფლების განხორციელება საჭირო და ადვილი მოსახერხებელი არ იყოს. თუმცა, აქაც გულახდილათ უნდა ვთქვათ, ბევრ შემთხვევაში საპარლამენტო კომისიის დანიშვნა და ამუშავება ჩვენ სახელმწიფურ შემოქმედების პროცესში მეტს დაკვირვებას, მეტს სიფრთხილეს, სიდინჯეს და საქმიანობას შეიტანდა. შეიძლება ამის შემდეგ შეკითხვებსაც უფრო გარკვეული და პრინციპიალური ხასიათი მისცემოდა.

საქართველოს დამოუკიდებლობა სულ გუშინ დაიბადა. დღეს კიდევ იმდენი მტერი გვახვევია გარს, რომ შეუძლებელია დამოუკიდებლობის ბედი უზრუნველყოფილად ჩავთვალოთ. კრიტიკული და საბედისწერო წუთები ჯერ არ გადაგვიტანია. შავი საფრთხე, როგორც საშინაო ისე საგარეო ურთიერთობაში თავს დაგვტრიალებს. ჩვენს უნარზე, სახელმწიფოებრივ საქმის მოყვარეობაზე და ტაქტიკურ გამოსვლებსა და მტკიცე პოლიტიკის წარმოებაზეა მრავალნაირად დამოკიდებული ჩვენი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის განმტკიცება, საქართველოს რესპუბლიკის მთლიანობა და კეთილდღეობა.

ყველა ამისთვის უნდა შევერთდეთ. ყოველი ჩვენი მოქმედება უნდა დაუმორჩილოთ რესპუბლიკის დაცვის ინტერესებს. ვინც ამის მომხრე არ არის, ის ჩვენი სამშობლოს და ჩვენი ხალხის მტერია. საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დემცველები და მისი მტრები—ასეა დასმული საკითხი თვით ცხოვრების მიერ.

და რომ ღირსეულათ უპასუხოთ მას, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლიდან გამარჯვებული გამოვიდეთ და საერთაშორისო გრიგალში საქართველოს სახელმწიფო და მისი დემოკრატიული წყობილება გადავარჩინოთ, უაღრესად საჭიროა ყველა ცხოველ-მყოფელი ძალების დარაზმვა და მათი შეერთებულ- შეთანხმებული ამუშავება. სამშობლოს და თავისუფლების ერთად ერთი ხსნა ამაშია.

თუ ამ განსაკუთრებულ მდგომარეობას კარგათ გავითვალისწინებთ და ყოველმხრივ, ავწონ-დავწონით უნდა ვთქვათ, რომ მთავრობაზე გაშმაგებული თავდასხმა, ფორმალურათ ვითამ საპარლამენტო უფლებით და ჩვეულებით გამართლებული, ფაქტიურათ არყევს იმ ნიადაგს, რომელზედაც ესოდენ ტანჯვით შენდება საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა, სჭრის იმ შტოს, რომელზედაც ჩვენ ყველანი ვიმყოფებით და რომლიდანაც საშინელი უფსკრული იხედება.

შეკითხვების წინააღმდეგ კი არ გამოვდივართ. ღმერთმა დაგვიფაროს. მთავრობა მუდამ მზათ არის ყველა თავის მოქმედებაში პასუხი აგოს, ყოველ შეკითხვას განმარტება მისცეს, ოღონ—შეკითხვებს უნდა ჰქონდესთ პრინციპიალური ხასიათი, მათ არ უნდა აჩნდეთ გულმოსული, ნაწყენი ფრაქციის პოლიტიკური გულღვარძლიანობის და შურისძიების ნასახი. ახლა ამის დრო არ არის.

ჩვენ ვამბობთ, რომ შეკითხვების თუ სხვა გამოსვლების დროს ახლა ყველა უნდა ხელმძღვანელობდეს ერთად ერთი, დიდი მოვალეობის შეგნებით ნაკარნახევი თვალსაზრისით: დღეს, როცა განსაცდელის ჟამი არ გაგვივლია, საქართველოს დამოუკიდებლობის საქმეს შეუწყობს თუ არა ხელს ესა თუ ის გამოსვლა.

ყველა გამოსვლა, რომელიც ხელს შეუწყობს ჩვენი დამოუკიდებლობის გამაგრებას და განმტკიცებას, მისაღები და მოსაწონია. ყოველი გამოსვლა, როგორი უფლებით და მოსაზრებითაც უნდა მართლდებოდეს და საბუთიანდებოდეს იგი, უარსაყოფელი და დასაგმობია, თუ ხელს უშლის და აბრკოლებს საქართველოს რესპუბლიკის ძალების თავის მოყრას, მის თავდაცვას, და გაძლიერებას. დღეს ამაში მდგომარეობს საქართველოს ყოველი მკვიდრის მოქალაქეობრივი და პატრიოტული ვალი.

პირველყოვლისა და უწინარეს ყოვლისა საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცება!

გვეტყვიან: მთავრობა სხვაა და საქართველოს რესპუბლიკა და დამოუკიდებლობა კადევ სხვაო.

თავისთავად ცხადია, მთავრობა არ ჰფარავს სახელმწიფოს, პირველი იცვლება, მეორე მუდმივ რჩება, მთავრობა სახელმწიფოს მორჩილებს და დემოკრატიულ წყობილებაში ყველას აქვს უფლება დაიწუნოს ცუდი მთავრობა და მოითხოვოს კარგი მთავრობა. ეს უდაოა.

მაგრამ როცა მტრები ყოველიფრით სარგებლობენ საქაროველოს საწინააღმდეგოთ და შეუგნებელ ხალხში უწყალოთ სთესენ სიძულვილს და უნდობლობას მთავრობისადმი, რომელმაც ვითომ საქართველო მოსწყვიტა რუსეთს და დაამშია, როცა ამ არეულ დროში ბნელ გონებას კარგად ვერ გაურჩევია ვინ არის მთავრობა, რა მოვალეობა აწევს მას და რას წარმოადგენს საქართველოს დამოუკიდებლობა, ყოველი უმართებულო და თავშეუკავებელი გალაშქრება საქართველოს მთავრობის დასამარცხებლად საქართველოს დამოუკიდებლობის სამტრო წისქვილს ამუშავებს და ჩვენი გაბათილების მოსურნეთა გულს ახარებს.

თუ თავდაჭერილობა და სიფრთხილე ყოველთვის საჭიროა, ათასჯერ და ათიათასჯერ უფრო საჭიროა ის დღეს.

და ჩვენც მხოლოდ სიფრთხილეს და საქმიანობას მოვითხოვთ.

ეროვნული საბჭო

მკათათვის 30-ს სხდომა მე-25-თე.

ნ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი. (შინაგან საქმეთა მინისტრი) მოქალაქენო! ხალხის წარმომადგენელნო! აქ მთავრობას უსაყვედურებენ, რომ ის ძირს უთხრის სახელმწიფო სამხედრო ძალას. ბრალდება, დამეთანხმებით, მეტად მძიმეა, უნდა მოგახსენოთ, რომ, როდესაც ასეთ ბრალდებას უყენებენ მთავრობას, საჭიროა რაიმე საბუთის მოყვანა მოწინააღმდეგის მიერ. რაში გამოიხატა ჩვენ მიერ ჯარის ძირის გამოთხრა?

აქ სთქვეს: თქვენ ჩამოაცლით ჯარს: ფინანსებს, ენერგიას და ამით მას სამოქმედო ასპარეზს უსპობთ. თქვენ მიერ შექმნილი საგანგებო რაზმები ჯარს მეტოქეობას უწევენო.

გავარჩიოთ ეს ასე ზეპირად, უსისტემოდ წარმოთქმული სიტყვები.

რანაირ მეტოქეობაზე ლაპარაკობენ აქ? რას ნიშნავს ერერგიისჩამოცლა? რაზმი ვერავითარ კონკურენციას, ვერავითარ მეტოქეობას ვერ გაუწევს ჯარს. ბატონი ვაჩნაძე, თუ არ ვცდები, ხედროკომისიის წევრი უნდა იყოს, და ამ სამ სამხედროკომისიის დადგენილებიო ეხლა უკვე ჯარშიუნდა გამოცხადდებულნი იყვნენ განსაზღვრულ წლოვანების მოქალაქენი. ამფრინავ რაზმის შესახებ მიღებულ კანონპროექტს კი აქვს შესაფერი შენიშვნა: მფრინავ რაზმში სამსახური არავის ანთავისუფლებს სამხედრო ბეგარისაგან. მაშ რა ნაირ მეტოქეობაზე ლაპარაკობენ აქ?

ის მოქალაქე, რომელიც ვალდებულია ჯარში იმსახუროს,—იმას უფლება არა აქვს რაზმში შევიდეს.

აქ ლაპარაკობენ ჯარის მოვალეობაზე. გამოდის რომ, ჯარი მოვალე ყოფილა მილიციის ფუნქცია აასრულოს.

ჩვენი ინტერესი არის დემოკრატიულ რესპუბლიკის ინტერესი და იგი ამჟამათ მოითხოვს, რომ ჯარი ასეთ მოვალეობიდან განთავისუფლებულ იქმნეს.

ჩვენ ამ ჟამად არ გვყავს საკმაო ჯარი რომელიც დაეხმარება საგუბერნიო ადმინისტრაციას წესრიგის აღდგენის საქმეში.

აქ შეიძლება სთქვან, რომ სანამ თქვენ რაზმს შეადგენთ ჯარიც გვეყოლებაო. ასეთი იყო ბატონ ვაჩნაძის აზრიც. მართალია, მაგ ეს არ უთქვამს, მაგრამ მის სიტყვებიდან ეს გამოდიოდა. მე უნდა განვაცხადო, რომ ეს არ

არის მართალი. ამ მფრინავ რაზმში უმეტესად შედიან სახალხო გვარდიის წევრები ან და ის სანდო და საიმედო ჯარის კაცები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან რესპუბლიკის დაცვაში. ამასთან ამ რაზმის დაარსება გაცილებით ადვილი საქმეა ვიდრე ჯარის შედგენა, ეს არ მოითხოვს იმ დიდ ვადას, რაც აუცილებლივ საჭიროა, როცა ჩვენ საქმე გვაქვს ჯარის გაწვრთნასთან. და აი რამდენიც უნდა ბევრი ილაპარაკონ აქ პარლამენტში ჯარის შექმნაზე, რამდენიც უნდა დაჩქარდნენ საქართველოს ეროვნულ-დემოკრატები და მათი ოფიციალური წარმომადგენლები ეროვნულ საბჭოში—ჩვენ სამი თვის განმავლობაში ჯარი არ გვეყოლება, და ისინი იძულებული იქნებიან დაგვთანხმდნენ, რადგან მათ არა აქვთ სრულიად წარმოდგენა იმ რაზმზე, რომელსაც ეწინააღმდეგებიან.

აქ ლაპარაკობენ 12 მილიონზე, მე არ ვიცი ეს საიდან გამოიყვანეს. ჩვენ მოვითხოვთ 4 მილიონზე ცოტა მეტს.

ვ. წ ე რ ე თ ე ლ ი. ულუფა? დიახ. რაზმს მიეცემა ულუფა. ულუფად რაზმს ჯარის ულუფა მიეცემა.

საერთოდ, როცა რაიმე კითხვა წარსდგება პარლამენტის წინაშე, მემარჯვენე ფრაქცია მაშინვე სახალხო გვარდიას ეკვეთება ხოლმე: ის რაღას აკეთებსო! მე უნდა მოგახსენოთ, რომ სახალხო გვარდია, განსაკუთრებულ შემთხვევებში, როცა მართლა დიდი გასაჭირი ადგია ჩვენს რესპუბლიკას,—მოვალეა იარაღი აიხსას და პასუხი მისცეს რესპუბლიკის მტრებს. მაგრამ ისეთ პირობების შექმნა, რომ ყოველ წუთში სახალხო გვარდია იარაღში იჯდეს, ყოვლად შეუძლებელია.

თუ ფინანსიურ თვალსაზრისით შევხედავთ, რასაც ასე იშველიებენ ნაციონალ-დემოკრატები, სახალხო გვარდიის მობილიზაცია ნაკლებ ფინანსებს არ მოითხოვს. მაშასადამე ეს მათი საბუთიც, რომ საკმაოა სახალხო გვარდიის მობილიზაცია რაც გაცილებით იაფი დაჯდებაო,—უსაფუძვლოა.

აქ ნაციონალ დემოკრატები შტატების გადიდების წინააღმდეგი არიან—რა თქმა უნდა, ყველა იმათთვის, ვინც არ არის დაინტერესებული რომ ჩვენში დაჩქარებით ჩამოვარდეს წესიერება, შტატების გადიდება კი არა, შეიძლება თვით რაზმიც უსარგებლო იყოს. დაჩქარებით წესიერების აღდგენა ეს ყველა ჩვენთვის სანატრელია. ამიტომ ჩვენ მოვითხოვთ სასწრაფო რაზმის გადიდებას.

თქვენ უნდა მიაქციოთ ყურადღება ერთ გარემოებას: რაც უფრო გვიან ჩამოვარდება ჩვენში წესიერება მით უფრო მავნებელია ჩვენი ქვეყნის როგორც პოლიტიკურ ისე ეკონომიური განვითარებისათვის.

რაც შეეხება ეკონომიურ განვითარებას, ეს არის საფუძველი ჩვენი ფინანსიური პოლიტიკისა. ის საბუთი, რომელიც აქ წარმოადგინეს, რომ რაზმი საზიანო იქნება ფინანსიურ თვალსაზრისით,—ესეც სრულიად მოკლებულია ნიადაგს.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. სიტყვა ეკუთვნის საბჭოს წევრს ბატონ რევაზ გაბაშვილს.

რ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი (ეროვ. დემ.). ბატონებო, ჩვენი მთავრობისათვის და სოციალდემოკრატიისათვის, ეს აშკარაა, ჩვენი საბუთები მათთვის საბუთები არ არის. ეს ვი-ცით არა ეხლა, ეს ვიცით 10 წლის ისტორიით.

მაგრამ, ჩვენ იმიტომ კი არ გამოვდივართ, რომ იმედი გვაქვს: აი გამოვალთ, წარმოვადგენთ საბუთებს და თქვენ მიიღებთ, არა ბატონებო, ჩვენ ამის იმედი არა გვაქვს. ჩვენ იმიტომ გამოვდივართ, რომ აქ, ამ პარლამენტის გარეშე არის ხალხი, რომელიც ყველაფერს თვალყურს ადევნებს. ჩვენ ვიცით, რომ, ჩვენი საბუთები, რამდენადაც უფრო გამოსადეგნი არიან, იმდენად რამდენად უფრო მტრულად შეხვდებით ხოლმე. ჩვენ ამისი არ გვეშინიან, რადგან ვიცით, რომ, მართალია აქ გამოვლენ თქვენი ოფიციალური პროპაგანდისტები და ვინ იცის რას არ დაგვწამებენ, მაგრამ მერე თქვენ გახვალთ, და პირველად თუ თქვენ გრცხვენიათ მიიღოთ ოპოზიციის საბუთები—შემდეგ მოიფიქრებთ და მას მიიღებთ ხოლმე. შეიძლება ბატონ ლომთათიძისთვის ჩვენი საბუთები სავალდებულო არ იყოს, მაგრამ საქართველოსთვის იგი სავალდებულოა და თქვენ ამას გააკეთებთ ხოლმე.

ახლა გადავიდეთ ისევ კანონ-პროექტზე. თქვენ ბრძანებთ, რომ საიდან გამოიგონეს ის, ვითომც რაზმს სჭირდებოდეს 12 მილიონი მანეთი. ვთქვათ ეს მართლა ჩვენი გამოგონილია, მაგრამ სულ რომ ცოტა ვიანგარიშოთ 7—5 მილიონი ხომ არის საჭირო ხსენებულ რაზმისათვის, იგივე 1,000 კაცი კი, თუ ჯარი გვეყოლებოდა 1 მილიონი მან. მოუნდებოდა.

ჩვენ აქ გვისაყვედურებენ, რომ თქვენი გამოსვლა არას დროს არ ყოფილა საქმიანი და რა თქმა უნდა ამ გამოსვლასაც არ ჩასთვლიან საქმიანად.

თუ კი თქვენ შეგიძლიანთ 6 თვის განმავლობაში შეინახოთ ეს ურიცხვი რაზმები, რომელთაც ამდენი მილიონები უნდა, ნუ თუ თქვენ არ შეგიძლიანთ შეინახოთ ის რეგულიარული ჯარი, რომელიც უფრო უკეთ შეასრულებს ყველა იმ დავალებას, რომელსაც მიანდობს არა კონტრ-რევოლუციონური ოპოზიცია, არამედ—რომელსაც თქვენ დააკისრებთ. ეს საბუთი, რა თქმა უნდა თქვენთვის საბუთი არ არის. თუ ეს წამოსცდებოდა ვინმე სოციალდემოკრატს „ბორბა-ში“ მაშინ ხომ საბუთი იქნებოდა.

მე ბოდიშს ვიხდი, ბატონებო, რომ აქამდის არ ვიცოდი, მაგრამ განა ცოტა რამ არის ისეთი, რაც მთავრობას არ უნდა, რომ იცოდეს კონტრ-რევოლუციონურ ოპოზიციამ.

მე აქამდის არ ვიცოდი, რომ ამ რაზმში უკვე 1000 კაცი შედიოდა. ეხლა მთავრობა მოითხოვს ამ რიცხვის 2500-მე გადიდებას. ჩვენ რასაკვირველია, საწინააღმდეგო გვაქვს რამე თუ არა ეს არაფერს ნიშნავს თქვენთვის, მაგრამ ეს მაინც გაგვაგებინეთ: რა მოხდა ისეთი ამ დღეებში, რომ საჭირო გახდა ასეთ არა ჩვეულებრივ ზომის მიღება. აი დღეს, არ ვიცი 27 ია—თუ 28—ისეთი რა ცვლილება მოხდა, რომ თქვენ ამ კანონპროექტით შემოსვლა დაგჭირდათ. ამას წინად შინაგან საქმეთა მინისტრი ამ კათედრიდან აცხადებდა: ანარქია თანდათან ნელდებაო. დღეს ჩვენ ვიცით, რომ ტუაფსეც კი აღებული გვაქვს. ყველა ამით არ ვკმაყოფილდებით და ჩვენ იმდენ ძლიერებასაც კი ვიჩენთ, რომ საომარ ულტიმატუმებს უდგენთ თერგისა და ადერბეიჯანის მთავრობებს. ამ დროს თქვენ მოითხოვთ უკვე არსებული რაზმის, რომელშიაც 1000 კაცი შედის 2500-მდე გადიდებას.

ეს არის სახელმწიფოებრივ თვალსაზრისზე დგომა? აი როდესაც ამას უკვირდებით, ჩვენ ვრწმუნდებით, რომ თქვენ გსურთ არა საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცება, რის შესახებაც თქვენ ასე ხშირად ლაპარაკობთ, არამედ თქვენ ჰქმნით თქვენ საკუთარ პარტიულ რაზმებს. არ ვიცი რად გჭირდებათ ამდენი რაზმები.

გ. ვ ე შ ა პ ე ლ ი. მიწები უნდა გაყიდონ, მე არ მიკვირს როცა ასეა საქმე და გამოდის სოციალ დემოკრატიულ პარტიის ლიდერი თუ დამცველი და სცდილობს თავიანთი გაიყვანონ. მაგრამ მე მაკვირვებს ჩვენი მინისტრი, რომელიც ხანდისხან როცა გამოდის ხოლმე ამ ტრიბუნაზე თითქოს სახელმწიფოებრივ თვალსაზრისს ატარებს და დღეს კი პარტიულ თვალსაზრისით შეეხო საკითხს. არ ვიცი მაინცა და მაინც რატომაა საჭირო, რომ რაზმში მარტო, ისინი იყვნენ, ვისაც მინისტრი ენდობა! განა ის კაცი ვისაც მინისტრი არ ენდობა, სახელმწიფოს არ გამოადგება? მაგალითად მე რომ მსურდეს რაზმში შესვლა მე მენდობა მინისტრი? მიმიღებენ? არა, რაზმში მე არ მიმიღებენ, რადგან მინისტრი არ მენდობა, თუმცა დარწმუნებული უნდა ბრძანდებოდეთ, მე იმ რაზმელებზე უკეთესად თუ არა (სიცილი მარცხნივ: მართალია). უარესად არ ვიბრძოლებ.

თუ თქვენ მართლა არ გსურთ საგანგებო საპარტიო რაზმები, მაშინ ძალიან ადვილია რეგულიარულ ჯარის შექმნა.

მაგრამ, თუ თქვენ საკუთარ რაზმებზე უფრო მეტს ზრუნავთ, რა თქმა უნდა, ჩვენი საბუთები საბუთებად არ გამოგადგებათ.

ეხლა რომ მინისტრმა სთქვას: რაზმი უნდა გადიდდეს, იმიტომ, რომ ამ ჭიქაში წყალი ასხიაო, ჩვენ ეს საბუთად უნდა მივიღოთ. რას ვიზამთ ძალა თქვენ ხელშია,—და საბრალო ოპოზიციის საბუთები რა საბუთებია?

თქვენ ძალიან უფრთხიხართ ჩვენს საბუთებს. თქვენთან უკაცრაულ პასუხია, მაგრამ სოციალ დემოკრატიას ისე მოსდის „ერთ იმაზე“ შეჯდომა სირცხვილია და გადმოვარდნა კი არაო. პირველად თქვენ საბუთებად არ იღებთ ჩვენს საბუთებს, მაგრამ მერე მაინც რევოლიუციურ თვალსაზრისით გაანათებთ და მიიღებთ.

მე წინააღმდეგი ვარ კანონპროექტისა.

საქართველოს რესპუბლიკის პირველ მთავრობის თავმჯდომარის ნ. ვ. რამიშვილის დეკლარაცია

(1918 წ. 15 ივნისი)

მოქალაქენო, ხალხის წარმომადგენელნო!

26 მაისს გამოცხადდა საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა და შესდგა ეროვნულ საბჭოს წინაშე პასუხისმგებელი მთავრობა.

რესპუბლიკის მთავრობის პირველ შემადგენლობას მეტად რთულ და მწვავე პირობებში დაეკისრა ქვეყნის მართვა გამგეობა.

მის მთავარ მოვალეობას შეადგენს საქართველოს ხალხი გამოიყვანოს მსოფლიო ომის ქარტეხილიდან, ხელი შეუწყოს რესპუბლიკანურ წესწყობილების დამყარებას და დიდის რევოლიუციით მოპოებულ სოციალურ და პოლიტიკურ უფლებათა საბოლოოდ განმტკიცებას.

ამ ისტორიულ მოვალეობათა მიხედვით მთავრობის უპირველესი საგანი იყო გარეშე საფრთხის თავიდან აცილება, რომელიც ჩვენს დამოუკიდებლობას ემუქროდა და ნორჩ რესპუბლიკას კულტურულ განადგურებას უქადდა. ამ მიზნით მთავრობამ უკვე გადასდგა რამდენიმე დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი. 28 მაისს ქალაქ ფოთში გერმანიის მთავრობის საიმპერიო წარმომადგენელთან დადებულ იქნა წინასწარი ხელშეკრულობა, რომლის თანახმად გერმანიის მთავრობამ აღგვითქვა საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღიარება და მისი ტერიტორიის ხელუხლებლობის დაცვა. ჩვენთან შეთანხმებით გერმანიამ გამოგზავნა თავისი ჯარი, რომელიც იმოქმედებს ჩვენს განკარგულებათა თანახმად და მთავრობას ხელს შეუწყობს გარეშე საზღვრების დაცვის საქმეში.

მთავრობა კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ მან მოამზადა ნიადაგი, რათა მკვიდრი კეთილგანწყობილება განმტკიცდეს გერმანიის სახელმწიფოსთან საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობის უზრუნველსაყოფად.

4 ივნისს ქ. ბათომში საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ოსმალეთთან ხელშეკრულობას. ამ გზით ჩვენი ხალხის საყოველთაო მისწრაფება ოსმალეთთან ზავის ჩამოგდების შესახებ განხორციელდა და გადაიდგა პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი მოსაზღვრე სახელმწიფოსთან კეთილმეზობლურ ურთიერთობის დასამყარებლად. თანახმად ეროვნულ საბჭოს დადგენილებისა მთავრობა გადასცემს არსებულ საზავო კომისიას ხელშეკრულობის ტექსტს.

მთავრობა თავის მოვალეობად რაცხს აშკარად აღიაროს, რომ 4 ივნისის ხელშეკრულობის ზოგიერთი პირობები ქართველ ხალხის გულში სრულიად სამართლიან მწუხარებას გამოიწვევს, მაგრამ მთავრობა იმედოვნებს, რომ ნორჩი რესპუბლიკის ენერგიულ შემოქმედების და დიპლომატიური საქმიანობის მომავალში ჩვენი ერის სასიცოცხლო ინტერესები დაცულ იქნება.

მთავრობა მოწადინებულია კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს კავკასიის რესპუბლიკებთან და ერებთან.

მთავრობა სიამოვნებით აღნიშნავს, რომ მის წარმომადგენელთა წინადადებით ამ დღეებში ქ. სტამბოლში შეიკრიბება ოთხ მოკავშირე სახელმწიფოთა კონფერენცია, რომელზედაც მიწვეულ არიან აგრეთვე ჩვენი წარმომადგენლები და რომლის უმთავრესი საგანია საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობის გამორკვევა და უზრუნველყოფა.

მთავრობა თავის მოვალეობად რაცხს დაიცვას საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტი და დემოკრატიული წყობილება ყოველნაირ გარეშე და შინაურ საფრთხისაგან.

მთავრობა ნათლად ჰხედავს, რომ დიდის რევოლიუციით მოპოებულ სოციალურ და პოლიტიკურ უფლებათა განხორციელებას ხელს უშლის არევ-დარევა, რომელმაც თავი იჩინა ჩვენს სახელმწიფოს ზოგიერთ კუთხეში.

ამიტომაც მთავრობა მთელის თავისის ძალღონით შეეცდება ანარქიის ყოველნაირ ნიადაგის მოსპობას და სახელმწიფოებრივ წესრიგის განმტკიცებას.

ამ მიზნისათვის საჭიროა დამყარდეს ერთი ძლიერი მთავრობა, ეროვნულ საბჭოს წინაშე პასუხისმგებელი, რომლის გვერდით, როგორც ეს რევოლიუციონურმა ორგანიზაციებმა უკვე აღიარეს, არ უნდა იდგეს არც ერთი მთავრობის უფლებებით აღჭურვილი ორგანო.

მთავრობა აღიარებს, რომ საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის განსამტკიცებლათ აუცილებლად საჭიროა საკუთარი, ევროპიული წესით გაწვრთნილი ჯარის შედგენა და ამავე დროს მთელის ხალხის მიერ სამხედრო ხელოვნების შესწავლა, რათა საჭიროებისას სახელმწიფომ შესძლოს თვისი საზღვრების დაცვა და სუვერენიტეტის უზრუნველყოფა.

მთავრობა თავის მოვალეობად მიიჩნევს ცხოვრებაში გაატაროს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტში აღიარებული ის დებულება, რომლითაც საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ეროვნულ უმცირესობათა მოქალაქეებს მიენიჭებათ ისეთივე პოლიტიკური მოქალაქეობრივი და ეროვნულ-კულტურული უფლებები, რომლითაც აღჭურვილი იქნებიან თვით ქართველი მოქალაქენი.

ახალ დემოკრატიულ წყობილების განსამტკიცებლათ მთავრობა ზომებს მიიღებს დაჩქარებით შემოიღოსსაერობო თვითმართველობა, განსაზღვროს ადმინისტრაციის და თვითმართველობის ურთიერთობა და ახალ პირობათა მიხედვით გარდაქმნას სასამართლო და სკოლა და დაჩქარებით განახორციელოს სავალდებულო უფასო პირველ დაწყებითი სწავლა-განათლება.

საქართველოს ეკონომიური განვი[illegible] ხელ-შესაწყობად ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია [illegible] ნანსიური მეურნეობის [illegible] სისტემის შემუშავება და საკუთარი [illegible] მოჭრა; ხოლო, ვიდრე ეს რთული საქმე [illegible] წყობოდეს,—მთავრობა ზომებს მიიღებს [illegible] ნაური და საგარეო სესხის ასაღებად. მთავ[illegible] დაუყოვნებლივ შეუდგება შემოსავლისა და [illegible] ქონების მიხედვით პროგრესიული გადასახადის შემოღებას და გადასახადთა მთელ სისტემის გარდაქმნას, რათა საუკეთესოდ დაცულ იქმნას მშრომელ ხალხის ინტერესები.

საქართველოს რესპუბლიკის პირველი მთავრობა მთელი თავისი ძალ-ღონით შეუდგება დაწყებულ აგრარულ რეფორმის განხორციელებას და ამ გზაზე ყოველივე დაბრკოლების დაძლევას.

ზავის ჩამოგდებით მყარდება წინასწარი პირობა საწარმოვო ძალთა განვითარების უზრუნველსაყოფათ. ამ მიზნით ეკონომიურ განვითარების ხელშესაწყობათ, აგრეთვე უმუშევრობის წინააღმდეგ საბრძოლველათ მთავრობას განზრახული აქვს საქართველო მოჰფინოს რკინის გზებით, მოაწყოს ტყეების წესიერი ექსპლოატაცია, შეუდგეს არხების გაყვანას და საერთოდ იზრუნოს ინტენსიურ სასოფლო მეურნეობის განვითარებისათვის.

რათა ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრე ხალხის საკეთილდღეოთ გამოვიყენოთ, მთავრობა საჭიროდ სთვლის ყოველგვარ მადნეულობის სახელმწიფოს საკუთრებად აღიარებას და შესაფერ კანონპროექტს ახლო მომავალში წარუდგენს ეროვნულს საბჭოს. აგრეთვე მთავრობას განზრახული აქვს დააწესოს სახელმწიფო კონტროლი საზღვარ-გარეთ ნედლი მასალის გატანაზე.

მთავრობა ხელს შეუწყობს სოციალურ კ[illegible] ნონმდებლობის განვითარებას და მუშათა კლ[illegible] სის მდგომარეობის გაუმჯობესებას.

მთავრობას დიდმნიშვნელოვან მორიგ საქ[illegible] მედ მიაჩნია ხალხის უზრუნველყოფა სურსათით, რისთვისაც ის სათანადო ზომებს მიიღებს.

მთავრობა აცხადებს, რომ ის ეცდება ახლო მომავალში მოწვეულ იქნას სრულ დემოკრატიულ საფუძველზე საქართველოს დამფუძნებელი კრება ნორჩ რესპუბლიკისთვის მტკიცე საფუძვლის ჩასაყრელად და სახელმწიფო საქმეების მოსაწესრიგებლად.

მთავრობას სრული იმედი აქვს, რომ ქართველი ხალხი, რომლის დემოკრატიის დაუღალავი ბრძოლა უცხოეთშიაც საერთო აღტაცებას იწვევდა, სძლევს ყოველ გვარ დაბრკოლებას, რაიცა ნორჩ რესპუბლიკას წინ გადაეღობება, და რომ ყველა მოქალაქე გაიმსჭვალება სამშობლოს წინაშე პასუხისგების გრძნობით და მთავრობას დახმარებას აღმოუჩენს დიდის რევოლიუციის მოპოებათა განმტკიცებასა და რესპუბლიკის აყვავების საქმეში“.

პრესის მიმოხილვა.

დასაფარავი არ არის: საქართველომ თავისი ბედი გერმანიას შეუკავშირა. მის გამარჯვების თუ დამარცხების ამბავს ჩვენ გულგრილად ვერ შევხვდებით. ოსმალეთი გერმანიასთან არის. ამიტომ არავის არ უნდა გაუკვირდეს, რომ ჩვენმა სამხედრო მინისტრმა ბატონმა გიორგაძემ ხალილ-ფაშას პატივსაცემად გამართულ ბანკეტზე წარმოთქმულ სიტყვაში, ოსმალთა ლაშქარს და მათ ღირსეულ მოკავშირეებს გამარჯვება უსურვა. ეს რასაკვერველია, მარტო ჩვენ მტრებს ეწყინათ. პირველად, რა თქმა უნდა ამის წინააღმდეგ „სოციალ-დემოკრატი“ გამოილაშქრებდა, რომ მისთვის „ნაროდნაია სვობოდას“ არ დაესწრო. უკანასკნელზე გასაგები მიზეზის გამო არაფერს არ ვიტყვით, ხოლო „სოციალ-დემოკრატ“-ზე ნება უნებურად უნდა შევჩერდეთ ცოტა ხნით.

„არ შეგვიძლიან სიჩუმით შევხვდეთ იმ გამარჯვების სურვილს ბრძოლის ველზე, რომლის გამოთქმაც ინება ბატონმა ქართული (?) რესპუბლიკის სამხედრო მინისტრმა. იქნებ მას დაავიწყდა, რომ ეს „ბრძოლის ველი“, რომელზედაც შესაძლოა ყოველ წუთს აჩუხჩუხდეს სისხლის ნაკადები, თითქმის საქართველოს შუა გულში იმყოფება“.

სწერს „სოციალ-დემოკრატის“ ფურცლებზე ვინმე ოვოდი.

ჩვენ, რა თქმა უნდა, არ გვიკვირს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის მტრებს ბრძოლის ველები საქართველოს შუა გულში ელანდებათ. ეს ხომ მათი სურვილია. ჩვენდა საბედნიეროდ ეს საფრთხე საქართველოს თავიდან აცდენილად უნდა ჩაითვალოს. ნაადრევია სიხარული, ჩვენი მტრების სურვილია: ოსმალეთის „დამოკლეს მახვილი“ საქართველოს თავს უქადდეს. და ამიტომაა, რომ ისინი ვერ შერიგებიან იმ გერმანულ ფარს, რომელმაც თავიდან აგვაცილა ეს საფრთხე. დღეს, როგორც ვსთქვეთ, საქართველომ თავის ბედი გერმანი-

...ეკავშირა და ჩვენ სამხედრო მინისტრს ...ეძრახვის ოსმალეთის ლაშქარს და მათ ...ისეულ მოკავშირეთ გამარჯვება უსურვოს.

* * *

„ედინენიე“ ქება-დიდებას უძღვნის სომხურ ...თვისტომოთა კავშირს იმ მოწოდების გამო, ...რომლითაც მიმართა ამიერ-კავკასიის ყველა ...ერთა ბეჭდითი ორგანოებს.

კავშირი მოუწოდებს ხელი შესხამს ამიერ-კავკასიის ერთა შორის „ძმობისა და სოლიდარობის“ განმტკიცების იდეას. „ედინენიეს“ თვით არ სწამს, რომ ასეთი მოწოდებები აღმოფხვრიან ამიერ-კავკასიის ერთა შორის არსებულ შუღლს, მაგრამ მაინც მიესალმება სომხის სათვისტომოთა ასეთ ნაბიჯს.

ჩვენ, რა თქმა უნდა, არ გვიკვირს, რომ „ედინენიე“ როცა უნდა, ასე უხვია ქათინაურების ჰნეევაში, მაგრამ ერთი რამ გვანცვიფრებს: რად ჰგონია „ედინენიეს“, რომ სომხურ სათვისტომოთა კავშირის მოწოდება სწორედ მისა და მის ამყოლთა თავზე წასაკითხი სახარება არ არის? „ედინენიე“ სხვებს არიგებს და ბოლოს ამბობს:

„არავითარი მრისხანე კანონები, თუნდაც სიკვდილის სასჯელის მაგვარი, არავითარი სამხედრო ექსპედიციები, თუნდაც დუშეთის, გორის, ქუთაისის და აფხაზეთის ექსპედიციების მაგვარი, არავითარი, საგანგებო რეზმები თუნდაც კონტრ-რევოლუციის ...ულიაციის წინააღმდეგ საბრძოლველი, არავითარი განსაკუთრებული ღონისძიებანი ვერ იხსნიან საქართველოს შინაურ არეულობისა, ეროვნულ განხეთქილებისა ...პოლიტიკურ და ეკონომიურ დაუძლურებისაგან, რომელიც დღითი-დღე იზრდება“.

დღეს ყველასათვის ნათელი უნდა იყოს, რომ ...საქართველოს დემოკრატიული მთავრობა ...განსაკურებულ ზომებს არ მიმართავდა ...სახელმწიფოს საფრთხეში ჩააგდებდა და ...ს შინაურ მტრებს საზეიმო დღეს გაუთენებდა. ამ განსაკუთრებულ ზომებით კი თან და თან წესიერება მყარდება და საქართველოც, როგორც პოლიტიკურად ისე ეკონომიურად ჯანსაღდება. რა უყოთ, რომ ეს არ ახარებთ „ედინენიე“-ში თავმოყრილ ჩვენ მტრებს!

გერმანული პრესიდან.

ბ. არტურ ლეისტმა სომხის ხალხის ისტორიას და მის ეხლანდელ მდგომარეობას ვრცელი წერილები უძღვნა გაზეთ „Kaukasische Post“-ის №-ში, სადაც მან მოათავსა ხუთი ფელეტონი „სომხეთის ხალხის“ სათაურით.

არტურ ლეისტი აცნობს რა მკითხველთ სომხების, ღრმა ტრაგიზმით აღსავსე ისტორიას, გამოსთქვამს აგრეთვე თავის აზრს მათ მომავალ ბედ-ილბალზე, რომელიც ავტორს უფრო ოპტიმისტურად აქვს წარმოდგენილი; მას იმედი აქვს რომ „კონსტანტინოპოლის კონფერენციაზე ცენტრალურ სახელმწიფოთა წარმომადგენლები მოახერხებენ შექმნან სომხებისათვის იმგვარი შელავათიანი პირობები, რომელნიც მისცემენ მათ საშუალებას გაამაგრონ თავის სახელმწიფო და გაამუჯობესონ თავის მდგომარეობა ოსმალეთში; მხოლოდ თვით სომხის ხალხზედაც ბევრია დამოკიდებული; მან ამიერიდან აღარ უნდა განიმეოროს ძველი შეცდომები, რომელნიც განსაზღვრამდენ დღემდე გერმანიასთან სამხედრო დამოკიდებულებას. გერმანიას, ამბობს არტურ ლეისტი, არ სჩვევია დიდი დაპირებები, მხოლოდ ავტორი მაინც გამოსთქვამს თავის აზრს იმის შესახებ, თუ რა სასარგებლო იქნება სომხებისათვის გერმანიასთან დაახლოვება, გაცნობა და შესწავლა გერმანიის მეცნიერების, ფილოსოფიის და ტეხნიკისა, ერთი სიტყვით შეთვისება საერთოდ გერმანიის მაღალი კულტურისა, რომლის გავრცელებას ...განმტკიცებას დიდათ უნდა შეუწყოს ხელი არსებულმა გერმანულ-სომხურ კულტურულმა საზოგადოებამ. ავტორის აზრით ყველა ეს „სომხის ხალხს მოუტანს ბედნიერ ცხოვრებას.“

სახალხო განათლების მინისტრის განმარტება.

სახალხო განათლების სამინისტრომ განიზრახა გამოერკვია რაოდენობა სასკოლო ასაკის არა ქართველ ბავშვებისა და ამ მიზნის განსახორციელებლად მიმართა მშობლებს ანკეტით, რამაც სომხურსა და რუსულ საზოგადოებაში მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ერთს ოფიციალურს ქალაქში, რომელიც მართებლობას მიართვეს ნათქვამია, რომ სამინისტრო არა ქართველ ბავშვების სკოლიდან გარეკვას უპირებსო, სხვანი კიდევ ამტკიცებენ, რომ მართებლობას დაძალებით სურს საქართველოს რესპუბლიკის ქვეშევრდომთა გამრავლებაო და სხვ.

...ეველაფერი ეს, რასაკვირველია, ან სრული გაუგებრობის ნაყოფია, ან ცილისწამება ...ამ მზაკვართა, რომელთაც არა სურთ შეურიგდნენ არსებულს პოლიტიკურ მდგომარეობას. საქართველოს დემოკრატიულ მართებლობას არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს რაიმე განზრახვა საქართველოში მცხოვრებ ერთგულ უმცირესობათა უფლების შეზღუდვისა. კერძოდ, რაც შეეხება სახალხო განათლების საქმეს, სამინისტრო ბოიკოტს, რომ სწავლა-განათლების საქმეში ერთგულ უმცირესობათ უნდა მიენიჭოთ თვითონ-მართველობა, რაც მეტსვე განხორციელდება თუ კი ოდნავ მაინც განმტკიცდება ჩვენი ახალგაზრდა სახელმწიფო და თანაც მოწესრიგდება საქართველოში მცხოვრებ ერების პოლიტიკური ურთიერთობა. აზრიგადვე არავის აზრად არა აქვს რითიმე შეავიწროოს ის, ვინც თავის თავს არა თვლის საქართველოს მოქალაქედ თუ, რასაკვირველია ასეთი პირი მოწადინებული არა ჩვენი თავისუფლებისა და რეგლამენტაციის მონაწილეობისა. სახალხო განათლების სამინისტრომ — მიერ განზრახული ანკეტის ერთად-ერთი უბრალო, კანონიერი და მიზანშეწონილი აზრი ჰქონდა, სახელდობრ: რამდენი სასაზინო სუფლო სკოლა იქნებოდა საჭირო საქართველოს ქვეშევრდომ არა ქართველ ბავშვთათვის. სახალხო განათლების სამინისტრო იმ აზრისა, რომ სახელმწიფომ უწინარესად თავის მოქალაქეთათვის უნდა იზრუნოს. საქართველოს ნორჩ სახელმწიფოსთვის ეს მით უმეტეს საჭირო, რადგან დღეს-დღეობით მისი ქონებრივი ძალა სუსტია. სახალხო განათლების სამინისტრომ ხარჯთაღრიცხვა მოამზადა სასწავლო წლისა ისე მცირე, რომ არა თუ ახალი სკოლები გაიხსნას, ვეშაობთ, ბევრი ან არსებულიც არ დაიხუროს. რაკი ასეთია ჩვენი ეკონომია, ბუნებრივად იშვა ის აზრიც, რომ ან არსებული სასწავლებლები უპირველესად და უპირატესად ემსახურებოდნენ საქართველოს მოქალაქეთ განურჩევლად ერეგნებისა. ჩვენი ჯერ კიდევ ქონებრივად წელგაუმართველი სახელმწიფო დღევანდელს მძიმესა და გარდამავალს ხანაში ვერ იდებს თავს შეინახოს სკოლები უცხო ქვეშევრდომთათვისაც. ასეთი მძიმე ტვირთი კიდევაც რომ დააკისროს მართებლობამ ჩვენს დღეს-დღეობით დარაბ ხაზინას და ვსთქვათ, მარტო თბილისში შეინახოს სასაზინო სკოლები უცხოთათვის, მაშინაც კი პროვინციაში აუცილებლად უნდა დაიხუროს რამდენიმე უკვე გამართული სასწავლებელი და დეთის ანბანრად დარჩეს მრავალი ქართველი და არა ქართველი ბავშვი რესპუბლიკის მოქალაქეთა. ასეთი მდგომარეობის გათვალისწინებით, ეროველი კეთილმოაზრე და მეუდგომელი რუსი თუ სომეხი დარწმუნდება, რომ სამინისტრომ მიერ გადადგმული ნაბიჯი მიზანშეწონილია და რომ უწინარეს ყოვლისა რესპუბლიკის მოქალაქეთა საჭიროება უნდა დაკმაყოფილდეს.

მიუხედავად ამისა, სომხურისა და რუსული საზოგადოების ზოგიერთს წრეში მტრულად შეეგებენ სამინისტრის ანკეტს და მშობლები არ იძლევიან საჭირო ცნობებს. სამინისტროს სხვა გზა ადარა აქვს, თუ არა თვითონ, იმ ცნობების მიხედვით, რომელიც ხელთ აქვს დაადგინოს სახალხო სკოლების რიცხვი არა ქართველ ბავშთათვის.

სახალხო განათლების მინისტრი: გ. ლასხიშვილი.

დეპეშები.

(დეპეშათა სააგენტო)

12 აგვისტო.

პარიზი, 10 აგვისტო. სამხედრო ცნობა. ავრთან ფრანგების შეტევები მთელი დღე გრძელდებოდა მათ სასარგებლოდ. საფრანგეთის ჯარებმა დაიპირეს პოზიცია მონდიდიერის აღმოსავლეთის 10 კილომეტრის მანძილზე.

ფრანგებმა წამოიყვანეს 9000-ზე მეტი ტყვე.

სტოკგოლმი, 10 აგვისტო. გაზეთი „დაგბლადეტი“ სწერს: „სიჩქარე და გამბედაობა, რომელიც გამოიჩინეს გერმანელებმა ვესლასთან პოზიციების დატოვების დროს, ამტკიცებენ, რომ ეს მოქმდება იყო წინასწარი მოფიქრებული გეგმის ნაყოფი—კოალიციას ისევ გამოაცალონ ხელიდან ინიციატივა. გინდენბურგმა და ლიუდენდორფმა რუსთა და პოლონელთა ომის დროს დაამტკიცეს, რომ მათი უკან დახევა მათდა სასარგებლოდ შეუძლიათ გამოიყენონ, ამიტომაც შესაძლებელია ამ შემთხვევაშიაც სტრატეგიული ხასიათის კითხვებში, გერმანელები მოკავშირეებზე მაღლა იდგნენ.

ბერლინი, 10 აგვისტო. ინგლისის მთავრობამ მიიღო ცნობა მოსკოვში ინგლისელ კონსულის დატუსაღების შესახებ. მიზეზი არხანგელსკში დეპუტატთა საბჭოს წევრების დახვრეტაა. საფრანგეთის საკონსულოც დატუსაღებულია.

ბუქარესტი, 10 აგვისტო. რუმინიის პარლამენტმა ერთხმად მიიღო წინადადება რუმინიის მინისტრ-პრეზიდენტი ბრატიანი დარჩეს დამნაშავის მდგომარეობაში.

რუმინიაში გაჩნდა ომის განახლების მომხრე პარტია. ბუქარესტის გაზეთი „ლიუმინი“ მიმართავს მას მოწოდებით, ანგარიში გაუწიოს წარსულის გაკვეთილებს და სამშობლოს ბედს საფრთხეს ნუ უმზადებს.

კიევი, 10 აგვისტო. უკრაინის მთავრობამ მიიღო თანხმობა რუმინიის მთავრობისაგან ბუქარესტში და კიევში დიპლომატიური წარმომადგენლების შეყრისა.

ბერლინი, 10 აგვისტო. გაზეთების ცნობით ჩეხო-სლოვაკებს დაუხოცავთ ბევრი ტყვე ბოლშევიკები. სამხედრო ტყვეების გაცვლის კომისიამ გადასწყვიტა საჩქაროთ გამოიყვანოს გერმანელი ტყვეები იმ მიდამოებიდან, სადაც მათ საფრთხე მოელისთ ჩეხო-სლოვაკებისგან.

ბერლინი, 8 აგვისტო. „ჩრდილოეთ-გერმანიის საყოველთაო გაზეთის“ ცნობით გერმანიის და საფრანგეთის შუა სამხედრო ტყვეების გაცვლა დაიწყო ამა წლის ივლისის შუა რიცხვებიდან. დღემდე საფრანგეთიდან ჩამოვიდა 800 ოფიცერი, 1600 უნტერ-ოფიცერი და ჯარის-კაცი და 1400 მოქალაქე. ამდენივე სამხედრო ტყვე წავიდა გერმანიიდან საფრანგეთში. მოლაპარაკებით ყოველ თვიურად უნდა გაცვლილიყო 8000 ჯარის-კაცი თითო მხრიდან, მაგრამ ეს არ მოხერხდა, რადგანაც საფრანგეთმა ამისთვის საჭირო სამი მატარებელი ყოველ კვირეულად არ მისცა.

როტერდამიდან მოსული ცნობით გერმანიისა და ინგლისის შუა სამხედრო ტყვეების გაცვლა გადაიდო გამოურკვეველ დრომდის.

უცხოეთი.

დროებითი მთავრობა.

როგორც კიევში პარიზიდან იუწყებიან, იქ შემდგარა რუსეთის გადასარჩენად ახალი დროებითი მთავრობა შემდეგი შემადგენლობით: მინისტრთა თავმჯდომარე—კერენსკი, შინაგან საქმეთა—სტახოვიჩი, ფინანსთა—ტერეშჩენკო, გარეშე საქმეთა—იზვოლსკი, ზღვათა—კოლჩაკოვი და სამხედრო—ხორვატი. მთელი სამინისტრო ამ დღეებში მურმანში გადავა, მათი ხელმძღვანელობით იწარმოებს ბალშევიკთა წინააღმდეგი მოქმედება.

ლენინი ბერლინში.

24 ივლისს კურსკის სადგურიდან გოროდიშჩაზე გამოიარა სასწრაფო მატარებელმა, რომელიც მხოლოდ ორთქლ-მავალი და სალონვაგონიდან შესდგებოდა. ამ მატარებლით მოსკოვიდან ბერლინში სახალხო საბჭოთა კომისარების თავმჯდომარე ლენინი წავიდა.

ბალშევიკები და მოკავშირეები.

როგორც მოსკოვიდან ჩამოსულები იუწყებიან, საბჭოთა მთავრობა მთლიანად გერმანიის გავლენის ქვეშ იმყოფებაო. ლენინი ამ ჟამად ბერლინშია. გადაწყვეტილია ინგლისელებსა და ფრანგებს ომი გამოუცხადონ. რუსეთში მობილიზაცია გამოუცხადებიათ, რომელსაც ძალიან სკეპტიკურად უცქერიან და დარწმუნებულნი არიან, რომ ბალშევიკურ ომიდან არაფერი არ გამოვაო.

საფრანგეთი და ამერიკა.

საფრანგეთის კალონიის მინისტრმა ანრი სამსონმა აცნობა შვიდ კალონიის გუბერნატორებს, რომ საფრანგეთის დეპუტატთა პალატამ დაადგინა მონაწილეობა მიიღოს ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატების ეროვნულ ზეიმში დ წინადადება მისცა კალონიებს 4 ივლისი იუქმონ ისეთნაირადვე, როგორც 14 ივლისს უქმობენ საფრანგეთში.

ვილსონი და იტალია.

იტალიის ცნობილმა მწერალმა გაბრიელ დ'ანუნციომ, ამერიკის ნაციონალურ დღესასწაულის დღეს პრეზიდენტ ვილსონს სიგელი მიართვა ფლორენციის საპატიო მოქალაქის სახელწოდებისა. ეს სიგელი ვილსონს იტალიის ხალხის სახელით გადაეცა.

იაპონია და ციმბირი.

როგორც სტოკჰოლმიდან იუწყებიან, ტოკიოდან გრაფ ტერაური დეპეშით ცნობას იძლევა, რომ მოკავშირეებს იაპონიასთვის აღმოსავლეთ ციმბირში მათი ინტერესების დაცვის უფლება მიუციათ.

ფინთა შეთანხმება.

კიევიდან იუწყებიან, რომ რუსეთის ყოფილ მოკავშირეების შუა მომხდარა შეთანხმება ციმბირში შესვლის შესახებ. საომარ მოქმედებაში მონაწილეობას მიიღებენ ამერიკა და იაპონია. გალაშქრების მიზეზათ ასახელებენ იმ გარემოებას, რომ მოკავშირეთა აზრით რუსეთი საჭიროებს მუდმივ დახმარებას, რომ დიად სახელმწიფოთ გარდაიქცესო. იაპონია მეტად დაინტერესებულია, რომ რუსეთში სასურველი წესწყობილება დამკვიდრდეს. ინგლისი კი იძულებული იყო ამ თანხმობით დიდი პოლიტიკური დათმობები მოეხდინაო.

ამოწანაწერი

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებიდან.

რუსთა ეროვნულ საბჭოს თხოვნა 18.675 მ. მიცემის შესახებ რუს ლტოლვილთა გადამყვან მეფურგუნელებს ...ასაკმაყოფილებლათ—უარი ეთქვას.

—

გაეხსნას შინაგან საქმეთა მინისტრს ათი მილიონის ფონდიდან 200.000 მან. საექიმო-სასანიტარო განყოფილებისათვის.

—

კავკასიის საარქეოგრაფიო კომისია გაუქმებულ იქმნას და ყველა მისი აქტები და საბუთები გადაეცეს საქართველოს საისტორიო საეტნოგრაფიო საზოგადოებას.

—

დაევალოს გზათა მინისტრს საჩქაროდ მიიღოს ფრანგების ყოფილი გარაჟი თავის განკარგულებაში.

—

შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის ხარჯთ-აღრიცხვა და ამ ხარჯთ-აღრიცხვის ანგარიშში 93.000 მ. მიცემის შესახებ გადაეცეს სახელმწიფო კონტროლიორს წინასწარ განსახილველად.

—

დაევალოს სასურსათო. სამინისტროს მისცეს აფხაზეთს რამოდენიმე სამანუფაქტურო საქონელი გამონაკლისის სახით.

—

ქართულ კლუბის თხოვნა დაკმაყოფილებულ იქმნას იმ პირობით, რომ განეთება იყოს ღამის 11 საათის შემდეგ მხოლოდ სანთლებით და ნავთითაც არ ისარგებლონ.

—

დაენიშნოს მინისტრებს და მის ამხანაგებს: ა) სამგზავრო ფული—ნამდვილი დანახარჯის მიხედვით და ბ) დღიურ. ფულად კი 50 მან.

—

საქარველოს ღერბის და აგრეთვე დროშის საკითხი საჩქაროდ გადაეცეს წინასწარ განსახილველად ფრაქციებს.

—

კანონ-პროექტი სკოლების ეროვნულ მოსამსახურეთა დაკმაყოფილების შესახებ გადაეცეს სახალხო განათლების მინისტრს განსახილველად.

—

შტატ გარეშე დარჩენილ მოსამსახურეთა დაკმაყოფილების საკითხი გადაეცეს გადასაწყვეტად კომისიის წარმომადგენელთაც: სახელმწიფო კონტროლიორსა, სამხედრო და შრომის სამინისტროებს.

—

მიეცეს სამხედრო მინისტრს 2.738 მ. ათ მილიონის ფონდიდან ჯავშნიან მატარებლის აფიცერთა და ჯარისკაცთა დასაკმაყოფილებლად ამ წლის ივლისის ჯამაგირებისათვის.

მიეცეს სამხედრო მინისტრს ათ მილიონის ფონდიდან 37.050 მ. შტაბის სტამბის მუშების დასაკმაყოფილებლად.

—

ტყვიბულის ქვა-ნახშირი გადაეცეს გზათა მინისტრს.

—

ა) სასამართლოს ბოქაულთა და სასამართლოს გზირთა აწ მომქმედისა გასამრჯელო ნიხრი გადიდებულ იქმნას ერთი სამად და ეს კანონი ძალაში შევიდეს .სასამართლოს ბოქაულთა შესახებ ამა წლის 31 იანვრიდგან, ხოლო სასამართლოს გზირთა. შესახებ,—ამა კანონის გამოქვეყნების დღიდგან, ბ) ეს დადგენილება წარედგინოს ეროვნულ საბჭოს შესაფერი კანონ-პროექტის სახით.

—

აღარ გაიგზავნოს ადერბეიჯანში საქართველოდან ფული არც ფოსტით, და არც ბანკების საშუალებით, და ვერც თვით საქართველოს რესპუბლიკა გადიხდის ადერბეიჯანიდან გადმოგზავნილ ფულს.

—

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს შეთანხმება ინჟენერ ხაპავასთან ელექტრონის გენერატორის შესახებ მოწონებულ იქმნას, ხოლო თუ ხაპავა დასთანხმდეს 50 პროც. მაგიერთ მიიღოს 30 პროც. ამ საქმის შემოსავლიდან, იმ შემთხვევაში მიეცეს ინჟენერ ხაპავას 30,000 მან. ათ მილიონის ფონდიდან მის დემონსტრაციაზე ხარჯების ასანაზღაურებლად.

—

საკითხი ელექტრონის ენერგიის მოსპობის შესახებ ყველა გასართობ ადგილებში აგრე-

საქართველოს ... მუზეუმი

თვე ელექტრონის ჩაქრობის შესახებ კერძო სახლებში ღამის 11 საათზე გადაეცეს ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს ხელ-ახლა გადასაშინჯად, რათა გასართობებს ელექტრონი მხოლოდ შეუმცირდეთ და სრულიად კი არ მოესპოთ.

—

დებულებანი გერმანიაში გასამგზავრებელ საქონლის გაცვლა-გამოცვლის კომისიისა მოწონებულ იქმნას.

—

მოხსენება შინაგან საქმეთა მინისტრისა დუშეთის მაზრაში ამბოხებასთან ბრძოლის გამო გამოწვეულ ხარჯებისათვის გადაეცეს განსახილველად სახელიწიფოს კონტროლიორს და სამხედრო მინისტრს; ხოლო სამხედრო მინისტრს ავანსად ათ მილიონის ფონდიდან 200 ათასი მან. დუშეთში გამოწვეულ ხარჯებისათვის.

—

დაევალოს შინაგან საქმეთა მინისტრს მოახდინოს ფაქტიური ნაციონალიზაცია პეტროგრადის ტელეგრაფის სააგენტოსი და ამიერიდან დეპეშები იბეჭდებოდეს როგორც რუსულ ისე ქართულ ენაზე.

—

გაეხსნას გზათა მინისტრს ათ მილიონის ფონდიდან ასი ათასი მან. კრედიტები ნავთის დასამუშავებლად.

—

გაუქმებულ იქმნას ქუთაისის თავად-აზნაურთა დეპუტატთა საკრებულო და მისი ლიკვიდაცია დაევალოს შინაგან საქმეთა მინისტრს. საკითხი ეროვნულ საბჭოს ქონების შესახებ გარჩეულ იქას მთავრობის კრებაზე ფრაქციების წარმომადგენლების მონაწილეობით.

გენერალ მაზნიაშვილი.

11 აგვისტოს დილით თუაფსის ფრონტიდან ჩამოვიდა გენერალი მაზნიაშვილი, რომელიც თბილისში რამდენიმე დღეს დარჩება. გუშინ, 12 აგვისტოს გენერალმა სამხედრო მინისტრი ინახულა. სამხედრო მინისტრის ნახვის შემდეგ გენერალი მაზნიაშვილი მთავრობის თავმჯდომარესთან წავიდა სათათბიროდ.

ახალი ამბები.

○ სასურსათო სამინისტრომ ცნობა მიიღო, რომ ფოთში მოსულა 140 ათასი ფუთი მარილი. 70 ვაგონი უკვე გამოგზავნეს თბილისში. რეკვიზიცია უყვეს ფოთში 100 ათას ფუთ მარილს.

○ განათლების მინისტრი სთხოვს ქალაქის თავს, დახმარება აღმოუჩინოს ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობას, რომელსაც განუზრახავს მოაწყოს ტფილისში სტუდენტებისთვის თავშესაფერი.

○ უფლებათა კანდიდატმა ო. ს. ბუკშტეინმა მიმართა ქალაქის გამგეობას შუამდგომლობით დაარსოს მისი კონტრაგენტობით პირველი საქალაქო გზირთა არტელი (express).

○ იუსტიციის სამინისტრო შუამდგომლობს მთავრობასთან სასამართლო პალატის მოსამსახურეთა შესანახად გადაიდოს 229.717 მან.

○ ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს განმარტებით ცნობა მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის ნ. რამიშვილის საქართველოში სომხის ნაციონალურ საბჭოს წარმომადგენელთან მოლაპარაკების შესახებ სიმართლეს მოკლებულია.

○ სახალხო განათლების მინისტრს მთავრობამ დაავალა სამოსწავლო საქმეში სრული ნაციონალიზაციის შემოღება აკადემიურ წლის დასაწყისში. ნაციონალური უმცირესობის უფლებები შემოფარგლული იქნება.

○ გარნიზონის უფროსმა დაატუსაღა ოსმალეთის ქვეშევდომნი: მუსა-ოღლი მამედ ალი გასან-ოღლი, მამედ იაკუბ-ოღლი და ალი ახმედ-ოღლი. დატუსაღებულები გადასცეს ოსმალეთის მისიას, რომ დაუყონებლივ გაგზავნონ საქართველოს რესპუბლიკიდან.

○ მთიელ მთავრობათა კავშირმა სთხოვა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას, გაუგზავნოს ყველა აქტები და საბუთები, რომელიც ეხება დაღესტანსა და ჩრდილო კავკასიას და რომელნიც ინახებოდა დღემდე ყოფილ მეფის ნაცვლის კანცელარიასა, საოლქო შტაბსა და სამხედრო საისტორიო ნაწილში.

○ თბილისის რადიო სადგურზე ატმოსფერალურ მოვლენის გამო, დეპეშების მიღება შეუძლებელი შეიქმნა.

○ სოფ. წყნეთში მიტინგზე ხალხმა სრული ნდობა გამოუცხადა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას და სახალხო გვარდიას.

○ ქურდობა. 10 აგვისტოს დილის 10 ს. ელენე ნიკინის ბინიდან (მიხ. პრ. 165) წაიღეს 16 ათასი მანეთი. ბოროტ-მოქმედნი დაატუსაღეს. იგინი აღმოჩნდენ ალ. ვარდიევი და გ. ა. მელიქ-შახნაზაროვი.

○ დუშეთის ამბების გამო შემდეგარი საგამომძიებლო კომისია დუშეთიდან იტყობინება: დუშეთში კიდევ არ არის სრული სიწყნარე. ადმინისტრაცია ვერ მოქმედობს შესაფერისად, რის გამო კომისიამ ვერ შესძლო ყოველივე თავისი მოვალეობის სისრულეში მოყვანა. ბევრი აღმოჩნდა უდანაშაულოთ დატუსაღებული. 48 კაცისაგან, რომლებიც ციხეში ისხდნენ, 40 გავანთავისუფლეთ. დანარჩენების წინააღმდეგ სერიოზული ბრალდებანია წამოყენებული.

○ ხოლერა. უკანასკნელ დროს ქალაქის სხვა და სხვა ნაწილებიდან ქ[illegible] საავადმყოფოში მოიყვანეს 5 ხოლერიანი და 11 ხოლერის ნიშნებით. მორჩა და გამოეწერა 5 ხოლერიანი. დღე-ღამის განმავლობაში მოკვდა 7. 10 აგვისტოსთვის სულ იყო 111 ხოლერიანი და 17 ხოლერის ნიშნებით.

○ ფოთის რაიონის გასაუმჯობესებლად, მთავრობის განკარგულებით, სამთო სამმართველომ შეადგინა სამეცნიერო ექსპედიცია, რომელმაც ყოველ მხრივ უნდა გამოარკვიოს ზემო აღნიშნულ რაიონის (10.0000 დესეტინა ჭაობის) გაშრობის საკითხი.

○ ინჟენერ ოგანეზოვის სპეციალურმა კომისიამ დაათვალიერა საქართველოს სხვა და სხვა ნაწილები და ჩაიტანა თფილისში სხვა და სხვა გვარი ნავთი. მისი აზრით საქართველოს ტერიტორიაზე საკმაო ნავთი აღმოჩნდება. თელავში უკვე დაიწყეს მუშაობა.

○ კავკასიის ყოფილ სამხედრო საოლქო სასამართლოს შენობაში შესდგა საქართველოს ლაშქრის სამხედრო სასამართლოს სესიის გახსნა. ნაფიც მსაჯულებად იყვნენ ოფიცრები და ჯარის კაცები. სხდომას დაესწრნენ: მთავრობის წარმომადგენელი—სამხედრო მინისტრი გიორგაძე, ეროვნულ საბჭოს სექციის წევრნი, ცალკე ნაწილების უფროსები- და გენერალიტეტი. სესიის სხდომის გახსნის წინ გადახდილ იქნა პარაკლისი. პირველი სესიის სხდომა პოლკოვნიკ როინიშვილის თავმჯდომარეობით გაიხსნა. სამხედრო მინისტრმა გიორგაძემ მისასალმებელი სიტყვა წარმოსქვა. მოწვეული ხალხი მიიპატიჟეს ჩაიზე.

○ ქართულ ტეხნიკურ საზოგადოების კრება. სამშაბათს, 13 აგვისტოს, ფრეილინის ქუჩაზე № 11, საღამოს 8 საათზე შესდგება ქართულ ტეხნიკურ საზოგადოების კრება. დღის წეს-რიგი: 1. ინჟ. კაკაბაძის მოხსენების რეზიუმე და მის შესახებ აზრთა გაცვლა-გამოცვლა; 2. ინჟ. ივ. ყიფშიძის მოხსენება-„სქემა საქართველოს სამთო კანონის ძირითად დებულებათა; 3. მიმდინარე სიკითხები.

○ ჯაშუშის დაპატიმრება. ოჩემჩირეში შეიპყრეს ოსმალეთის საზღვაო ჯარის ოფიცერი ბანან შაკირ ოღლი, რომელსაც ჯაშუშობა ბრალდება. დაპატიმრებული გადაეცა ოსმალეთის მისიას.

○ დააპატიმრეს კაპიტანი კავალევსკი, რომელმაც 350-ათასი მანეთი შეაძლია ქრთამად სასურსათო სამინისტროს მთავარ ნაწილის უფროსს, თუ ის უკანისკნელი 5-ვაგონის შაქრის გატანის ნებერთვას მისცემდა.

○ ყალბი ფულები. როგორც ს. საგარეჯოდან იტყობინებიან, სპეკულიანტ-შანტაჟისტები გლეხებს ყალბ ფულს აძლევენ პურში. კოდპურში . 60 თუმან ყალბ ფულს იძლევიან. ყალბი ფული 3 მანეთიანებია. ასეთი შანტაჟის წყალობით, პურის ფასი დღითი დღე ზღაპრულად მატულობს.

○ ადგილობრივ უკრაინელ კომისარის ცნობით ფოთში მოსულა საბარგო გემი „დიმიტრი“. მოელიან სხვა გემებსაც.

○ მოვაგონებთ სახელმწიფო დაწესებულებებს, რომ მთავრობის დადგენილების თანახმად ვალდებულნი არიან გამოიწერონ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“. საქართველოს ყველა თვითმართველობებს გაზეთი ეგზავნება.

○ შესწორება. საერობო არჩევნების თბილისის მაზრის აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმის განცხადებაში შეცდომით არის დაბეჭდილი ხმოსანთა რიცხვი; აღბულაღში 769 უნდა იყოს 7. მანგლისში 569 უნდა იყოს 5.

ფინანსთა მინისტრის განკარგულება ფოთის ნავთსადგურის შესახებ.

ბათუმის დაკარგვის შემდეგ ფოთი შეიქნა უპირველესი ბოღოზი და მას უნდა მიქცეოდა უმთავრესი ყურადღება ჩვენი მთავრობის მხრივ. ასეც მოხდა. მთავრობამ ამა წლის 2 ივლისს დაადგინა: „საქართველოს ყველა პორტების მართვა-გამგეობა გადაეცეს ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს, ასეთი გონივრული დადგენილებით ჩაეყარა მკვიდრი საფუძველი კერძოთ ფოთის პორტის მოწესრიგებას. ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი მხნედ შეუდგა ფოთის პორტის საჭიროებათა გაცნობას, იქ გამეფებულ ანარქიის მოსპობას და შესაფერ ზომების მიღებას. მან დაისახა გადასაწყვეტათ შემდეგი კითხვები:

1. პორტის მართვა-გამგეობის რეორგანიზაცია, საადმინისტრაციო და სააღშენებლო ორგანოთა შეერთება და მოხელეთა შტატის შემცირება.

2. პორტის მოხელეთა მდგომარეობის გამორკვევა.

3. საჭირო თანხის გადადება გემების შესაკეთებლად და ამ გემების ექსპლოატაცია.

4. საფუთო გადასახადის მომატება.

5. რიონის ჩრდილო ტოტზე დანგრეული ხიდის განახლება და სხ.

ამ საკითხების გადასაწყვეტად საჭირო იყო თვით ფოთში წასვლა და საქმეების ადგილობრივ გაცნობა. ამ მიზნით თვითონ მინისტრი რამდენიმე მოხელით წაბრძანდა ფოთში; იქ გაეცნო სავსებით პორტის საჭიროებას, მოახდინა რამდენიმე კრება და გამოიტანა შემდეგი დადგენილებანი:

1. თავის ღირსება-ნაშენობით ფოთის პორტი უნდა ჩაითვალოს—ერთ საუკეთესო ბოღოზად შავ ზღვაზე და შეუძლია საკუთრივ დააკმაყოფილოს საქართველოს რესპუბლიკის ექსპორტი და იმპორტი, ე. ი. საქონლის გატანა-შემოტანა. ხოლო საჭიროა გაღრმავდეს შემოსავალ კარებთან, ამის გამო მიენდო პორტის გამგეობას მოახდინოს დაჩქარებით ტეხნიკური გამოკვლევა და ხარჯთაღრიცხვა.

2. მიენდოს პორტის უფროსს წარმოადგინოს მოკლე ხანში პორტში უკვე აშენებულ ელევატორის გადაკეთების (რეკონსტრექციის) ტეხნიკური პროექტი, ვინაიდან ეს ელევატორი ამ ჟამად ვერ ასრულებს თავის დანიშნულებას საქონლის დატვირთვა-გადმოტვირთვის საქმეში.

3. უნდა გაფართოვდეს და მოეწყოს შესაფერი მანქანებით პორტის სახელოსნო.

4. ვინაიდან პორტის სამეურნეო და საადმინისტრაციო დარგები ვერ იყო შესაფერად მოწყობილი და შემოსული ფულიც ხაზინაში შეტანის ნაცვლად იხარჯებოდა ჩვეულებრივი წესით, ამის გამო დაარსებულ იქმნას ფოფში სპეციალური კომისია, რომელშიაც შედიან ხარჯთ-ამკრეფ ინსპექტორის თავმჯდომარეობით ქალაქის, საპორტო გამგეობის და საბაჟოს წარმომადგენელნი, აგრეთვე ხაზინის ბუხგალტერი, რათა მოაწესრიგონ შემოსავალ-გასავლის საკითხი, შეამოწმონ აქამდე შემოსულ ფულის რაოდენობა, შეიტანონ იგი ხაზინაში და შემოიღონ საბუთებზე დამყარებული კასიური ანგარიში. ამასთანავე აღმოჩნდა, რომ გემების ექსპლოატაციის გამო პორტის შემოსავალი საკმაოდ დიდია და შეიძლება ამ შემოსავლის უფრო გადიდება საქმის უკეთ მოწყობით.

5. პორტის უფროსის მიერ შემუშავებული დებულებანი სამხედრო გემების, სავაჭრო გემების და იალქნიან ხომალდების პორტში შემოსვლა-გაჩერების შესახებ არ ესაბამება საბაჟოს საქმეთა წესიერად დაყენებას. ამის გამო საპორტო უწყების კრებაზე შემუშავებულ იქმნა ახალი წესი, რითაც გემთა უფროსებმა უნდა წარუდგინონ საბაჟოს ზედამხედველებს და არა პორტის გამგეობას გემების საბუთები, მგზავრებისა და ეკიპაჟის სია.

6. უკანონოდ იქმნა ცნობილი პორტის უფროსისა და გერმანიის წარნომადგენელთა შეთანხმებით შემოღებული ნავოსნობისა და საფუთო გადასახადები. ამ ნორმების განსაზღვრა მიენდო მთელს კოლეგიას, რომელმაც უნდა წარუდგინოს დასამტკიცებლად თვით საგინისტროს, ხოლო ეს გადასახადები კი უნდა აკრიფონ ადგილობრივ საბაჟოს მოხელეებმა.

7. პორტის გამგეობის რეორგანიზაციასთან ერთად უნდა გაირჩეს პორტის მუშაობის გამგეობის საკითხიც.

8. შესდგა საგანგებო კომისია; კომისიაში შევლენ პორტის უფროსი, მუშაობათა უწყების უფროსი და წარმომადგენელნი საბაჟო კომიტეტის და ქალაქის ამ კომისიას მიენდო სამი კვირის განმავლობაში შეიმუშაოს საკითხი პორტის გამგეობის რეორგანიზაციის შესახებ და გამოუგზავნოს იგი სამინისტროს მთავრობის წინაშე წარსადგენად, როგორც კანონ-პროექტი. მანამდე კი პორტის დროებითი მართვა-გამგეობა მიენდოს ამავე კომისიას და საბაჟოს წარმომადგენელს.

9. სავაჭრო გემების შესახე გამოირკვა, რომ მათ სჭირდებათ შეკეთება, რის შემდეგ შეუძლიათ მოგვცენ დიდი შემოსავალი საქონლის გადაზიდვით. ხოლო ამ გემების შესახებ უნდა მოხდეს შეთანხმება გერმანიის მისიასთან, თუ რომელი მათგანი გადაეცემა პორტს საექსპლოატაციოთ.

10. როგორც კი მოვიდა ოფიციალური ცნობა ტუაპსეს აღების შესახებ მაშინვე გაიგზავნა იქ ფოთის პორტის უფროსი ინჟ. ჯავახიშვილი და საბაჟოების გამგე ბ. მიქაძე ადგილობრივ საჭიროებათა გამოსარკვევად, საბაჟო ზედამხედველობის აღსადგენად და იქ დარჩენილ გემებისა და ტრანსპორტების წამოსაყვანად.

11. კრებაზე განიხილეს აგრეთვე საკითხი რიონის ტოტზე დანგრეულ ხიდის გაკეთების შესახებ, რასაც დაჟინებით თხოულობს ქალაქის თვითმართველობა და მისი გაკეთებაც ძლიერ ესაჭიროება თვით პორტს, ვინაიდან ეს ხიდი მას აერთებს ქალაქთან. ხარჯთ-აღრიცხვით ამ ხიდის გაკეთებას დაჯდება ექვსასი ათასი ოქროს მანეთი. რადგან ასეთი დიდი თანხის გამოღება მთავრობას არ შეუძლია, ამიტომ ამ საკითხის ყოველ მხრივი შესწავლა მიენდო პორტის უწყებას, რომელსაც დაევალა აგრეთვე მეტი ნაწილი ხარჯებისა დაიფაროს საფუთო გადასახადიდან და საზოგადო ადგილობრივ თანხიდან.

12. პორტის საწყობებში აღმოჩნდა დაგროვილი საქონელი სულ ცოტა 2 მილიონ ნახ. მანეთისა, მაგ., შაქარი, სპირტი, საპონი, სანთელი, თოკი, რკინა—ლურსმანი და სხ.

13. რაც შეეხება პორტის სამხედრო დაცვას, ეს საკითხი უნდა გაირჩეს თბილისში სამხედრო უწყებისა და გერმანიის მისიის წარმომადგენელთა თანადასწრებით.

14. სასურველია მიენდოს ფოთის გარნიზონის უფროს შეამოწმოს, თუ როგორ ხდებოდა ფოთში პორტის მოხელეთა მიმართ სალიკვიდაციო ფულისს მიცემა.

15. რაც შეეხება ბრანდვახტის კომანდის და მოხელეების დაკმაყოფილებას, ამათ შესახებ უნდა ეთხოვოს კრედიტი მთავრობას სამხედრო სამინისტროს შუამდგომლობით.

აქ ჩამოთვლილი დადგენილებანი ფინანსთა მინისტრის მიერ ეუწყა მთავრობას ვრცელი მოხსენების სახით.

ს. ქ.

ტყის საკითხი.

ამ უკანასკნელ დროს გაზეთებში ხშირად ვხვდებით ცნობას შეშის და ხე-ტყის დამზადების შესახებ; საზოგადოებაში ლაპარაკია აგრეთვე ტყის კონცესიებზე და ქაღალდის წარმოებაზე...

ეს საკითხები იმდენად რთულია და სერიოზული, იმდენად გადახლართულია სხვა საკითხებთან და პირობებთან, რომ მათი გადაჭრის დროს საჭიროა დიდი გონიერება და წინდახედულება, პირობების საფუძვლიანი შესწავლა, ყოველმხრივი აწონ-დაწონვა და გათვალისწინება..

უნდა გვახსოვდეს, რომ ტყე დიდ როლს თამაშობს ბუნებაში, მსოფლიო ეკონომიაში... ტყე ანელებს სიცხე პაპანაქებას და უზომო ყინვასიცივეს. ტყით მდიდარ ადგილებში როგორც ზაფხული, ისე ზამთარი თანდათანობით მოდის და ადგილი არა აქვს იმ უეცარ ცვალებადობას, რომელსაც უტყეო ადგილებში განვიცდით. ეს კი როგორც ადამიანის ჯანმრთელობაზე, ისე მცენარეულობაზე და ჭირნახულზე დიდ დადებითი გავლენას ახდენს.

გარდა ამისა, ტყე წყლის ერთგვარი აკუმულიატორია. ტყეში მდებარე თოვლი ნელ-ნელა დნება. დიდი წვიმების დროსაც ტყე ხარბად იჭერს დიდძალ წყალს, რომელიც შემდეგ თანდათან იწრიტება, ღელეებში ჩადის...

ტყე ძალიან ასუსტებს ქარის და ქარიშხალის სიძლიერეს; ტყიან ადგილებში სეტყვა იმდენად ხშირი არ არის და იმდენად გამანადგურებელი თვისებებით არ არის აღჭურვილი..

ტყეს დიდი გავლენა აქვს აგრეთვე ჰაერის სიავ-კარგეზე: ის თავის უამრავ მწვანე ფოთლებით ჭყლაპავს ჰაერიდან აუარებელ ნახშირმჟავ გაზს, რომელიც ყოველი ცხოველ არსებისთვის საწამლავს წარმოადგენს, და ამასთანავე იძლევა მეტად საჭირო მჟავბადს. ფიჭვნარი და ნაძვნარი ამ სიკეთეს უმატებს კიდევ ქერქიდან გამომდინარე ფისის ორთქლს-სურნელებას აერცელებს, ჰაერს კიდევ ზედმეტადა სწმენდს და საუცხოოდ აზავებს.

ტყეში ვერ ჰპოვებთ ვერავითარ მავნებელ გაზებს, ოშხივარს და ვერც მიწიდან ადენილ იმ შხამიან ორთქლს და მყრალ სუნს, ქვა-ნახშირის ბოლს და მტვერს, რომელსაც ვსუნთქავთ ქალაქებში და მჭიდროდ დასახლებულ დაბა-სოფლებში.

სწავ. მიკელის ხუთი წლის დაკვირვებამ აღმოაჩინა, რომ პარიზის ცენტრიდან აღებული ჰაერის კუბიკური მეტრი შეიცავს საშუალოდ 3.910 ბაქტერიას, მხოლოდ იქვე, მონსურის პარკში, ჰაერის კუბიკური მეტრი—555-ს. და თუ ასეთი განსხვავებაა ქალაქის ქუჩების და მისი პატარა ბაღების შორის, ნამდვილ ტყეების და მათ ახლო-მახლო მდებარე ადგილთა ჰაერის სიჯანსაღეზე ეჭვიც ხომ არ შეიძლება შეგვეპაროს.

ვენაში, 1890 წლის საერთაშორისო კონგრესზე პროფ. ებერმაიერმა ტყის მნიშვნელობის შესახებ ბევრი ფრიად საყურადღებო ცნობები წარმოადგინა.

მისი საფუძვლიანი ქიმიური გამოკვლევით ტყის ნიადაგი სრულიად ხელს არ უწყობს ბაქტერია—ბაცილების, მით უმეტეს პატოგენურ ბაქტერიების გამრავლებას, ვინაიდან ჩვენი სულის შემხუთველი ეს პაწაწინა ცხოველები ტყის ნიადაგში საჭირო საკვებ მასალას ვერ პოულობენ.

მკვლევ. ადამეცმა თიხიურ ნიადაგის ერთ გრამში 500.000 ბაქტერია აღმოაჩინა, მხოლოდ პროფ. ემეგიხმა ტყის ნიადაგის ერთ

გრამში იპოვნა საშუალოდ 180.000 ბაქტერია. მაგრამ ამ განსხვავებაზე უფრო ის არის საინტერესო, რომ ტყის ნიადაგში ვერ აღმოაჩინეს ჩვენთვის მავნებელი, ზემოდასახელებული პატოგენური ბაქტერიები...

შემდეგ პეტენგოფერის გამოკვლევამ ხოლერის და საოფლეს გავრცელების შესახებ დაამტკიცა, რომ ტყე და მის ახლო-მახლო მდებარე ადგილები ძალიან ხელს უშლიან გადამდებ ავადმყოფობათა გავრცელების საქმეს. ევროპაში და ინდოეთში არა ერთხელ დიდრონ ტყეებს ხოლერისათვის გაუვალი ზღუდე აუმართავს. ჩვენშიაც 1892 ხოლერიან წელში ტყეს ჰატარა სამსახური არ გაუწევია...

ბევრი მაგალითებია იმისიც, რომ ხაშმიან და ჭაობიან ადგილებში როდესაც ტყე მოუშენებიათ, ჰაერიც გამოცვლილა, ციებ-ცხელებაც მოსპობილა, ცხოვრება საღი და სასარგებლო შექმნილა...

ვფიქრობთ, ნათქვამიდანაც ნათლად უნდა სჩანდეს ტყის უაღრესი მნიშვნელობა და მისი როლი.

ახლა შევეხოთ მოკლედ ტყის მნიშვნელობის, ასე ვსთქვათ, მეორე მხარეს.

ინჟ. ვ. კაკაბაძე.

ჯავახელნი ლტოლვილნი.

ბაკურიანიდან ჩვენს რედაქციაში მოვიდა იქაური ლტოლ. დამხ. კომ. წევრი ჯავახელი ალექსანდრე მელიქიძე და ბევრი შემაწუხებელი ამბები გადმოგვცა. მისი გადმოცემით ჯავახეთიდან გადმოხვეწილ ლტოლვილთა მდგომარეობა სწორედ აუტანელია. წარმოუდგენელი სიმშილობა, უსახლკარობა, უბინაობა, რის გამოც საშინლათ მძვინვარებს ტიფი, ხოლერა და სხვა აყათმყოფობა. იქაურ დამხმარე კომიტეტს კი შეძლება არ შესწევს რომ ამ უბედურებას სავსებით მოუაროს და შეუმსუბუქოს ეს აუტანელი მდგომარეობა. აქამდის უკან დაბრუნებისა და ჭირნახულის შეგროვების იმედი ჰქონდათ, მაგრამ აგერ უკვე სამი თვე გადის არაფერი არ არის გამორკვეული და იმედი სრულიად დაეკარგათ. ამ ხალხს რომელიც სამშობლოსთვის ეწამა და უკანასკნელ წუთამდის მისი დამცველი იყო დაუყოვნებლივ დახმარება უნდა აღმოეჩინოს. საჭიროა ბინა და ადგილი. ყველა უბედურებასთან ერთად საცაა აცივდება და ისედაც გაჭირვებულ მყოფთ, კიდევ უფრო უმწეო მდგომარეობაში ჩააგდებს. ის ორიოდე სული საქონელიც კი, რომელიც შერჩათ, ხელიდან ეცლებათ. თუ მათი ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა, შეიძლება ბევრი არა სასიამოვნო ამბავი მოხდეს, რადგან გაჭირვება ბევრ რასმეს ჩაადენინებს ადამიანს. შეიძლება ძარცვა-გლეჯა და თავდაცემაც კი დაიწყოს მათ შორის. ვიმედოვნებთ რომ მთავრობისა და დამხმარე კომიტეტების გარდა თვით ქართველი საზოგადოებაც მიაქცევს ყურადღებას და ვისაც რითი შეუძლიან დაეხმარება ამ უბედურებასაო.

სომეხთა ცხოვრებიდან.

პირველ აგვისტოს ერევანის კლუბის დარბაზში გაიხსნა ჰაიასტანის საბჭოს პირველი საზეიმო სხდომა. ქალაქს სადღესასწაულო ელფერი ჰქონდა. დიდძალი ხალხი მოგროვილიყო კლუბის შენობის წინ, რომლის თავზედაც ჰაიასტანის რესპუბლიკის დროშა ფრიალებდა. სხდომას დაესწრნენ მთავრობის მთელი შემადგენლობა რ. ქაჯაზნუნის თავმჯდომარეობით და აგრეთვე გერმანიის, ავსტრიის და ოსმალეთის სახელმწიფოების წარმომადგენელნი, გენერალი ნაზარბეგოვი და სხვ. ღია კენჭის ყრით აირჩიეს ჰაიასტანის საბჭოს თავმჯდომარეთ ა. სააკიანი, მის ამხანაგებად გ. ტერხაჩატრიანი და დ. ზუბიანი, მდივნად პ. ზაქარიანი (უპარტიო).

ა. სააკიანმა სხდომის გახსნისას შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა, რომელიც „ჰორიზონი“-დან შემოკლებით მოგვყავს.

მოქალაქენო და ჰაიასტანის საბჭოს წარმომადგენელნო!

სომეხთა ეროვნულ საბჭოს მხრივ პატივი მაქვს დღეს გავხსნა სხდომა და გამოვაცხადო, რომ ამას იქით ეს არის ერთად-ერთი რწმუნებული ორგანო სომხების მთავრობისა.

ეს დღე ჩვენთვის ისტორიული დღეა, ამიერიდან ჩვენს ნორჩ სახელმწიფოს ცხოვრებას ბრწყინვალე ხანა გაეხსნა. მართალია ჩვენი რესპუბლიკა პატარაა და ვიწროა თავის საზღვრებით, და არ შეუძლიან შეაფაროს მთელი თავისი ერი, მართალია თითქოს ერთი შეხედვით მას არ აქვს პირობები დამოუკიდებელ არსებობისათვის, მაგრამ მე მგონია, რომ ჩვენი ქვეყნის საზღვრები ქვის კედლებით არ შემოიზღუდებიან. მე მრწამს, რომ ჩვენი საზღვრები გაფართოვდებიან ცხოვრების რკინის კანონებით და მისი ახალი მეგობრული ხელშეკრულობით ოსმალეთთან და მის მოკავშირე სახელმწიფოებთან, რომელთა წარმომადგენელნიც დღეს აქ იმყოფებიან. ჩვენ ავირჩიეთ შეთანხმებისა და მშვიდობიანობის გზა და ვიმედოვნებთ, რომ არ ვართ შემცდარი.

ჩვენ სისწორით და მიუდგომლად შევასრულებთ ჩვენს მოვალეობას ზავის ხელშეკრულების თანახმად.

დღეს ჩვენ საძირკველს ვუყრით სახელმწიფოს შენობას და ვისწრაფით მის გასაუმჯობესებელათ, რომ ჰაიასტანის რესპუბლიკის ყველა ერების კეთილდღეობისთვის ვიზრუნოთ ისე, როგორც მშობელი დედა შვილებისთვის ზრუნავს. დასასრულ ა. სააკიანმა გააცნო კრებას, თუ ვისგან შესდგა ჰაიასტანის მთავრობა და საბჭო, სომეხ წარმომადგენლების რიცხვია 38, მაჰმადიანების—6, რუსების—1 და ეზიდების—1. ამ რიგად ჰაიასტანის საბჭოს მთელი რიცხვი უდრის 46 წარმომადგენელს.

პორესპოდენცია

ს. დიდი-გომარეთი (ბორჩ. მაზრა)

მიწის გაყოფის დროს მოხდა დიდი უთანხმოება ადგილობრივ თათრებსა და გომარლებს შორის. თათრებმა წაართვეს გომარლებს 3,000 დესეტინა ზურთაქედის მთა, რომელიც ნაყიდი ჰქონდათ ორბელიანისაგან:

რომ გადაერჩინათ ცხვრის ფარა დახოცვისაგან, გომარლები იძულებულნი იყვნენ გაერეკათ ცხვარი საძოვრად ს. ალექსანდროფილდის (ნემეც-კოლონისტების სოფელია) საბალახოზე, რის გამოც ნემეც-კოლონისტების დამსჯელი რაზმი დაეცა ს. დიდ-გომარეთს; გადასწვეს 11 სახლი. მდგომარეობა გამწვავებულია. ამის შესახებ გომარეთის რწმუნებულმა აცნობა მთავრობას; მთავრობა გერმანიის შტაბს შეეკითხა. დანიშნული იქნება კომისია საქმის გამოსარკვევად.

ქურნალ-გაზეთებიდან.

კონტრიბუციები.

კურსკის ქალაქის თვითმართველობის საჭიროებისათვის შეძლებულ მოქალაქეებს ახდევინებენ 1 მილიონ მანეთს.

ვიატსკის გუბერნიის ბალშევიკურმა მთავრობამ 7 ათასი მანეთის კონტრიბუცია დაადო სახელმწიფო საავადმყოფოს ზედამხედველს, რომელიც 30 წლის განმავლობაში თვეში ოთხ თუმან ნახევარ ჯამაგირს იღებდა და ერთ ფირმაში მოსამსახურე ნოქარს კი 15 ათასი მანეთი. რადგან ამ „ბურჟუებს“ ფული არ აღმოაჩნდათ—დაატუსაღეს.

მოსკოვში გუბკინის კუზნეცოვის ჩაის მკეთებელ ფირმას დაადვეს კონტრიბუცია 1,300.000 მან.

მურმანი და მოკავშირენი.

ინგლისის, საფრანგეთის და ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთი მხრივ და მურმანის საოლქო საბჭოს პრეზიდიუმს მეორის მხრივ, ხელშეკრულება დაუდვიათ რომ ერთმანეთს სამხედრო დახმარება გაუწიონ გერმანიის წინააღმდეგ. ხელშეკრულობაში ნათქვამია: ეს შეთანხმება ხდება იმისთვის, რომ მურმანის მხარე ხელშეუხებლათ შევინახოთ დიდ რუსეთის მთლიანობის აღსადგენადაო.

საზღვარ გარეთიდან საქონლის შემოტანა,

„კავკაზსკოე სლოვოს“ სიტყვით შემდგარა მეაფთიქეების ერთი ჯგუფი, რომელთაც განზრახვა აქვთ ფართედ მოაწყონ საერთოდ საზღვარგარეთიდან და კერძოთ გერმანიიდან სხვადასხვა მედიკამენტების შემოზიდვა. ამის გამო რამდენიმე აფთექის პატრონები თბილისის სხვა და სხვა საკრედიტო დაწესებულებებთან შეთანხმებული, რომელთაც აღუთქვამთ 2 მილიონის კრედიტით დახმარება. საქმის მოსაგვარებლათ შესდგა საფინანსო კომისია, რომელშიაც აფთექის პატრონების კავშირიდან წევრებად შესულან გ. ჯანელიძე, ნ. ბროიდო, ლ. გელბური, ფ. ოტტენი და ვ. კოჩინევი.

ცეცხლი მოსკოვში

სიმონოვის საქონლის სადგურზე მოსკოვში 3 ივლისს დიდი ცეცხლი გაჩნდა, რომელმაც ძლიერი გავლენა იქონია სატახტო ქალაქის სასურსათო მდგომარეობაზე. ზარალი 15 მილიონამდეა. დამწვარა კონსერვებით სავსე 300 ვაგონი, შეშა 300 ვაგონი, ნავთი სავსე სამი რეზერვუარი, ყუთები თოფის ტყვიებით და სხ. დამწვარა აგრეთვე საქონლის საწყობის ყველა ბაქანები, ფარდულები და რკინის გზის შენობები.

ოსმალეთის სულთანი.

ახალი სულთანი ვახიდ-ედინი მაჰომედ მეხუთეს უნცროსი ძმა არის, ტახტზე ასვლისას მაჰომედ მეექვსის სახელი ეწოდა, 58 წლისაა. ამ რიგათ ოსმალეთის სამეფო ტახტი თანდათანობით იმემკვიდრა ოთხმა ძმამ: მურად მეხუთე, აბდულ-ჰამიდი, მაჰომედ მეხუთე და ეხლანდელი ვახიდ-ედინი.

ბეტროგრადის მოხელეები უკრაინაში.

ამ ახლო ხანებში, პეტროგრადიდან კიევში ჩასულან განსაკუთრებული მატარებლით პეტროგრადელი ყოფილი მოხელეები, რომელნიც უკრაინის სახელმწიფო მართველობის სხვადა-სხვა თანამდებობებზე დაინიშნენ. მოსულთა შორის ბევრია ყოფილი სენატორები, გუბერნატორები და ცნობილი ბიუროკრატები, ამათთან [illegible] ჩამოსულა აგრეთვე პოლიციის დეპარტა[illegible]ის ყოფილი დირექტორი ვასილიევი, რომელსაც იმედი აქვს უკრაინაში ერთ-ერთი პასუხსაგები თანამდებობა დაიჭიროს.

განცხადებები

თბილისის სამოქალაქო მილიციის უფროსი ამით აცხადებს, თბილისში მცხოვრებმა დავით გერასიმის ძე სანებლიძემ განაცხადა, რომ მას დაეკარგა სასურსათო მართველობის მიერ მოცემული აღმასრულებელი ფურცლის ნაბართვა 755 მანეთისა 256 ნომრით. (3—3)

ვექილობას მიცემულს ჩემდამი ფილიპე გრიგოლის ძე კობახიძეზე და გაკეთებულს თბილისის ნოტარიუს წინამძღვარიშვილთან 31 მაისის 1918 წ. რეესტრით № 70080, ფულის მიღებაზე ადგილობრივ საინტენდანტოდან ასიგნოვკით 10 მაისს 1918 წ. № 37526, ამით ვაუქმებ.
ფოთის პირველი დრუჟინის უფროსი პრაპორშჩიკი სინაროსი. (3—3)

სრული ვექილობა, მიცემული ჩემდამი ირაკლი ჩილიკიძეზე ითვლება გაუქმებულად 10 აგვისტო 1918 წ.
ექიმი კურტიდი. (3—2)

პეტრე როსტომის ძე კვახაძე აცხადებს რომ მან დაჰკარგა 1) პასპორტი 5 წლ. მოცემული ბათუმის მილიციის სამართველოსაგან 16 მაისს 1917 წ. 2) მეტრიკული მოწმობა სინოდალურ კანტორიდან მოცემული. 3) საჯარო ვაჭრობის ასლი მოცემული ამბროლაურის უბნის მოსამართლისაგან რაჭის მაზრის უძრავი ქონების შესახებ. 4) მოწმობა მოცემული ქუთაისის გუბერნიის კომისარიდან 10 აგვისტოს 1918წ. ბათომში წასვლის ნებართვა. ყოველივე ზევით მოხსენებული დოკუმენტები დღეიდან ჩაითვალოს გაუქმებულად. მნახველს ვთხოვ გადასცეს თბილისი, გორის ქუჩა № 24 (დიდუბე) ს. კაციტაძეს. რისთვისაც მიიღებს შესაფერ ჯილდოს. 2—1

საქართველოს რესპუბლიკის რკინის გზის სამხედრო ნაწილის მთავარი გზის კომიტეტის სასურსათო კომისია სადგ. სანაინის ტ შაგალის ბუფეტების და სავაჭრო კარვების მოიჯარდრეს დავით კალაძეს და აშაგასერალის—სერაფიონ ანთაძეს წინადადებას აძლევს განაახლონ ვაჭრობა და აფრთხილებს, რომ თუ ამ განცხადების გამოქვეყნებიდან ერთი კვირის განმავლობაში ისინი არ გამოცხადდებიან ხსენებულ სადგურებზე ან თფილისის სასურსათო კომისიაში, ბუფეთები და კარვები სხვებს გადაეცემა.

სოხუმის განყოფილების მომრიგებელი მოსამართლე 1401 მუხ. ძალით იწვევს გარდაცვალებულ ივანე (იგივე იოანე) კირიკას ძე პასხალიდის (სოფ. ბახმარონის გუმისტნიის უბნის, სოხუმის ოლქის მცხოვრები) მემკვიდრეებს, რათა მათ აღიარონ თავისი უფლება პასხალიდის ქონებაზე 1241 მუხ. ძალით დადგენილ ვადაში.

4 სექტემბერს 1918 წ. დღის 12 სათზე ქართველი ჯარის ბინის მომრიგებელ ოფიცრის განყოფილების სამართველოსთან (ინჟენერის ქუჩა № 2). დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ლაგოდეხის და ქ. თელავის ყველა საბაზინო და სამხედრო შენობების უსუფთაობისაგან გაწმენდის იჯარაზე. ვადა—ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 1919 წლის 1 იანვრიმდე.

ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს საჯარო ვაჭრობაში, აღნიშნულ რიცხვში, არა უგვიანეს 12 საათისა, უნდა შემოიტანოს განცხადება პასპორტით და 400 მანეთი საწინდრით. დაწვრილებით პირობები მსურველთ შეუძლიათ გაიგონ განყოფილების სამართველოში 10 საათ. —3-მდე. ყოველ დღე.

თბილისის მეოთხე განყოფილების მომრიგებელი მოსამართლე იწვევს 6 ნოემბერს 1916 წ. გარდაცვალებულის დავით ვასილისძე ხიზალოვის მემკვიდრეებს, რათა მათ აღიარონ თავისი უფლება ხიზალოვის ქონებაზე 1241 მუხ. ძალით დადგენილ ვადაში.
29 ივლისი 1918 წ.

თბილისის მეოთხე განყოფილების მომრიგებელი მოსამართლე იწვევს 1916 წ. გარდაცვალებულის ევდოკია ალექსის ასულის ბოროდინის მემკვიდრეებს, რათა მათ აღიარონ თავისი უფლება ბოროდინის ქონებაზე 1241 მუხ. ძალით დადგენილ ვადაში.
12 ივლისი 1918 წ.

სოხუმის განყოფილების მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ პანტიოც გიორგის ძე პოლიტიდის მკვიდრეებს, რათა მათ აღიარონ თავისი უფლება-პოლიტიდის ქონებაზე 1241 მუხ. ძალით დადგენილ ვადაში.

საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის სალიკვიდაციო კომისია სთხოვს იმ პირთ, დაწესებულებებს, საზოგადო და კერძო ორგანიზაციებს, რომელთაც რაიმე ანგარიშები აქვთ კომიტეტთან, წერილობით შეატყობინონ მას ერთი თვის განმავლობაში, 10 აგვისტოდან 1918 წ. კომისიის კანცელარიაში (სერგიევის ქუჩა № 9) 9-2 საათამდე.
10 სექტემბრის შემდეგ არავითარი განცხადებები და პრეტენზიები არ მიიღება.
სალიკვიდაციო კომისია.

უწმინდესი და უმართებელესი სინოდის კავკასიის კონტორა ამით აცხადებს, რომ იქ, შევიდა თხოვნა ვლადიმერ თედორეს ძე მაიოროვის, რომელიც თხოულობს ცოლის—სტანისლავა ტიმოთ აბრამოვიჩის ასულის მაიოროვის გაშორებას, რომელსაც იწვევს კონტორის საკრებულო მსჯავრის მოსასმენად. ამ განცხადების ძალით, ყველა ვინც იცის სად იმყოფება მაიოროვა, ვალდებულია აცნობოს კავკასიის სინოდალურ კონტორას ამ განცხადების დაბეჭდვიდან ერთი თვის ვადაში.

სოხუმის განყოფილების მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ ბახვა თედორეს ძე ცეკვავას (სოფ. იაშტახას, გუმიინსტნის უბნის, სოხუმის ოლქის მცხოვრები) მემკვიდრეებს, რათა მათ აღიარონ თავისი უფლება ცეკვავას ქონებაზე 1241 მუხ. ძალით დადგენილ ვადაში.

დაიკარგა პირველ თბილისის კერძო ლომბარდის ბილეთი № 74714, 50 მანეთისა.

საქართველოს
სახაზინო რკინის გზათა მმართველობა

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ქვემო აღნიშნული საქონელი, გაუტანელი რკინის გზათა წესდების 84 მუხლში აღნიშნული ვადის განმავლობაში, გაიყიდება თბილისის ცენტრალ საწყობში „28“ დეკემბერს 1918 წ. დილის ათ საათზედ. ყველაზე მაღალ ფასიანი საქონელი ხელმეორედ დაინიშნება გასასყიდად „29“ დეკემბერს ამავ წლისა.

ბაგაჟი. მიღებული თბილისში ხაშურიდან: № 33731—1 ფ. 30 გ., მცხეთიდგან № 5119—2 ფ. 35 გ., ბათომიდგან № 79312—2 ფ. 30 გ., ბათომიდგან № 6050—1 ფ. 35 გ., ქუთაისიდგან № 19146—35 გ., ბათომიდგან № 4449—25 გ., მცხეთიდგან № 5120—1 ფ., ფოთიდგან № 187449/42232—39 გ., ევლახიდგან № 54316—35 გ., ნავთლუხიდგან № 22558—11 ფ. 10 გ., ნახიჩევანი გორ. № 216878—6 ფ. 30 გ., ბაქოდგან № 9139—3 ფ. 5 გ., ნავთლუხიდგან № 22490—2 ფ. 25 გ., ნავთლუხიდგან № 111709—1 ფ. 5 გ., ბაქოდგან № 9160—24 გ., ჯულფიდგან № 26714—1 ფ. 35 გ., ყვირილადგან № 208652/3409—1 ფ. 15 გ., არმავირიდგან № 5229—13 ფ. 10 გ., მოსკოვიდგან № 143254—39 ფ. 30 გ., ბალტიდგან № 325—1 ფ. 5 გ., ვორონეჟიდან № 1511—2 ფ. 35 გ., კიევიდან № 9325—3 ფ. 23 გ., კისლოვოდსკიდან № 47407—3 ფ. 12 გ., თემირხანშურიდან № 695—35 გ., პროხლადნაია № 4377—35 გ., პეტროვსკ პორ. № 2048/152—15 გ., ხარკოვიდგან № 9028—33 გ., გროზნიდან № 3799—3 გ., როსტოვიდგან № 42840—1 ფ., თუაფსედან № 12551—2 ფ. 35 გ., მინსკიდან № 1136—1 ფ. 8 გ., პეტროგრადიდგან № 8335—5 ფ. 28 გ., მოსკოვიდგან № 139287—4 ფ. 14 გ., მოსკოვიდგან № 142538—1 ფ. 26 გ., პეტროვსკ პორ. № 3363—1 ფ. 30 გ., მოგილევიდგან № 419—4 ფ. 35 გ., გროზნიდან № 3803—5 ფ. 19 გ., თუაფსედან № 12768—4 ფ. 22 გ., ელისავეტგრადიდან № 3336—1 ფ. 35 გ., ვუშჩევკადან № 1758—11 ფ. 8 გ., პეტროვსკ პორ. 10507/323—509—6 ფ. 20 გ., პეტროგრადიდან 8637—11 ფ. 35 გ., მოსკოვიდგან № 148759—4 ფ. 9 გ., პეტროგრადიდგან № 18052—1 ფ. 8 გ., პეტროგრადიდგან № 67331—3 ფ. 12 გ., ტაშკენტიდგან № 886—4 ფ., პსკოვიდგან № 4858—3 ფ. 6 გ., პეტროგრადიდან № 16041—2 ფ. 25 გ., რეველიდან № 5112—5 ფ. 20 გ., კიევიდგან № 8954—3 ფ., ფოთი ნავსადგურ. № 69949—კოპტონი (ქმიხა) 36 გ.

მიღებული ფოთში—თბილისიდან: № 83699—მედიკამენტი და მოხარშული რძე (სგუშჩონი) 8 ფ. 35 გ., თბილისიდან № 52566—2 ფ. 12 გ., თბილისიდან № 52778—2 ფ. 10 გ., ბათომიდან № 11885—23 ფ. 2 გ., ყარსიდან № 6866—39 ფ.

თბილისი. ნაპოვნი საქონელი:
№ № 50, 51, 52, 53, 54 ლ 55, 38, 39, 40, 41, 42, 43, 45, 46, 47, 48 და 49.

უდოკუმენტო საქონელი: ჯუმათი ბაგაჟი—საცვლები 2 ფ. 35 გ. 3—2

[illegible] [illegible] [illegible] [